ᲰᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲣᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲠᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ 43-Ე ᲬᲚᲘᲡ № 240 (12448) | ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 11 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ, 1962 Წ. | ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐ�პ.

190.000 ᲢᲝᲜᲐ ᲧᲣᲠᲫᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ!

ᲘᲭᲠᲘᲐᲚᲝᲡ ᲛᲐᲠᲜᲘᲡ ᲙᲐᲠᲛᲐ...

ᲕᲘᲜᲪ ᲗᲐᲕᲘ ᲘᲡᲐᲮᲔᲚᲐ

მევენახის შრომა ყურძნის მოსავლიანობით ფასდება, რთველი კი, როგორც იტყვიან, ამ შრომის სარკეა.

ჩავიხედოთ ამ სარკეში და ვნახავთ, რომ წელს რესპუბლიკის ბევრმა რაიონმა, საბჭოთა მეურნეობამ, კოლმეურნეობამ, ბრიგადამ, რგოლმა თუ ცალკეულმა მევენახემ ისახელა თავი.

აი ზოგიერთი მათგანი:

სიღნაღის რაიონის მევენახეებმა 10 ოქტომბრის მონაცემებით ნაცვლად 9.960 ტონისა სახელმწიფოს მიჰყიდეს 11.737 ტონა ყურძენი, გეგმის შესრულება უდრის 117,8 პროცენტს.

გურჯაანის რაიონმა, ნაცვლად 26.710 ტონისა, 30.454 ტონა ყურძენი, გეგმა შესრულებულია 113,9 პროცენტით.

წითელწყაროს რაიონმა, ნაცვლად 2.500 ტონისა, 3.432 ტონა ყურძენი, გეგმის შესრულება უდრის 137,2 პროცენტს.

10 ოქტომბრისათვის კახეთის რაიონებმა სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის გეგმა 100 პროცენტით შეასრულეს.

ქართლისა და დასავლეთ საქართველოს რაიონებში ყურძნის კრეფის ტემპი სულ უფრო ძლიერდება.

ᲓᲘᲓᲘ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ 45 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ

ᲓᲐᲜᲔᲠᲒᲘᲚᲘᲐ 34 ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐ

თბილისის ოცდაექვსე კომისრის სახელობის მანქანათაშენებელი ქარხანა განსაკუთრებით ემზადება დიდი ოქტომბრის 45 წლისთავის შესახვედრად. ქარხნის კოლექტივმა ცხრა თვის გეგმა 107,6 პროცენტით შეასრულა, საგრძნობლად გაზარდა შრომის ნაყოფიერება, მკვეთრად შეამცირა პროდუქციის თვითღირებულება და გაბვლილ პერიოდში 7 ათასი მანეთი ზეგეგმითი ეკონომია მიიღო.

ქარხნის კოლექტივმა აითვისა და უკვე დაამზადა რამდენიმე სახის ახალი პროდუქცია. აღსანიშნავია ბოთლის სარეცხი მანქანა, რომელიც საათში სამასი ათასამდე ბოთლს რეცხავს. ქარხანაში დღემდე დანერგილია 84 რაციონალიზატორული წინადადება, რომელთა წლიური პირობითი ეკონომია 8 ათას მანეთს აღემატება. რამდენიმე რაციონალიზატორული წინადადების ავტორები არიან ხარატი მ. აკოფოვი, ზეინკალი ი. ქრისტესიანოვი და ინჟინერი ლ. ალანიკიანი.

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲘᲡ ᲤᲝᲜᲓᲘᲡ 5.000 ᲛᲐᲜᲔᲗᲘ

საგტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ფოთის სატვირთო კანტორის კოლექტივმა ფართოდ გაიხადა შეჯიბრება დიდი ოქტომბრის 45-ე წლისთავის აღსანიშნავად. პირველი წარმატება უკვე მოპოვებულია. აქ ცხრა თვის გეგმა გადამდე დიდი გადაჭარბებით შესრულეს. გადაზიდულია 631 ათასი ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 614 ათასი ტონისა, გამომუშავებულია 6.465 ათასი ტონა-კილომეტრი, რაც გეგმას 140 ათასი ტონა კილომეტრით აღემატება.

შრომის გონივრულად მოწყობის შედეგად კანტორის კოლექტივმა ტონა-კილომეტრის თვითღირებულება 4 კაპიკით შეამცირა, მნიშვნელოვნად აამაღლა შრომის ნაყოფიერება, მიიღო ზეგეგმითი დაგროვება და რესპუბლიკის ეკონომიის ფონდში 5.000 მანეთი შეიტანა. დაზოგილია 11.500 ლიტრი საწვავი.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲐᲠᲪᲔᲠᲗᲘ ᲡᲘᲒᲜᲐᲚᲘ — ᲣᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!

საბჭოთა პრესა ეყრდნობა მილიონობით მკითხველთა მხარდაჭერას, მათს აქტიურ თანამშრომლობას. ეს არის იმის გასაღები, რომ გაზეთი ყოველდღიურად იძენს ადამიანთა გონებასა და გულზე ზემოქმედების უზარმაზარ ძალას. ამის „მაგალითად შეგვიძლია დავიმოწმოთ, — წერდა გაზეთი „პრავდა", — ყიტმინრის ოლქის კოლმეურნეობა „პირველი მაისის" მერგოლურის ნადეედა გრიგოლის ასულ ზაგალდას ამასწინანდელი გამოსვლა პრესაში, და ის ჟეშმარიტად საყოველთაო სახალხო გამოხმაურება, რომლითაც შეხვდა მკითხველი მის სტატიას „გაუფრთხილდით მინდვრის მშრომელის ღირსებას!".

ახლა ჩაბჭოთა პრესას მძლავრი ფრთები აქვს. მისი მართალი ხმა მტკიცედ, შეუპოვრად გაისმის როგორც გაზეთებისა და ჟურნალების ფურცლებიდან, ისე რადიოსა და ტელევიზიის საშუალებით.

რაც დრო გადის, მით უფრო მრავალრიცხოვანი ხდება საბჭოთა პრესის აქტივი, სულ მეტი და მეტი წერილი შემოდის რედაქციებში. მათ შორის ცოტა როდია მამხილებელი, როგორც იტყვიან, საგულისხმო სიგნალები ჩვენი ცხოვრების ნაკლოვანებებზე.

მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ასეთი წერილების უკან ყოველთვის დგას ცოცხალი ადამიანი, წერილის ყოველ სიტყვაში ჩაქსოვილია ადამიანის გულისტკივილი და მწუხარება და ცხადია, არავის არა აქვს უფლება აგდებულად შეხედოს მათ, არ ჩასწვდეს საქმის არსში, არ დაინტერესდეს ადამიანის ბედით.

კომუნისტური პარტია დიდად აფასებს ბეჭდვითი სიტყვის ძალას და თავის კადრებს, მთელ ხალხს ზრდის ისეთი სულისკვეთებით, რომ პატივისცემით მოეკიდონ პრესას, როგორც ყველაზე მძლავრ და შორსმსროლელ იდეურ იარაღს, ზრუნავს პრესის შემდგომი განვითარებისა და სრულყოფისათვის.

პარტიის XXII ყრილობის შემდეგ საგრძნობლად ამაღლდა საბჭოთა პრესის საერთო დონე, მისი ორგანიზატორული როლი. მეტი წილი პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, სახელმწიფო კომიტეტები, სამინისტროები, უწყებები, საწარმოები და კოლმეურნეობები ყურადღებით ეკიდებიან გაზეთებისა და ჟურნალების გამოსვლას, თავის დროზე ატყობინებენ საზოგადოებრიობას მიღებულ ღონისძიებებს, იყენებენ პრესის დახმარებას სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის.

მაგრამ, სამწუხაროდ, პრაქტიკაში კიდევ ვხვდებით ფაქტებს, როცა გაზეთებისა და ჟურნალების გამოსვლას მხარს არ უჭერს ზოგიერთი პარტიული ორგანო, უწყება და დაწესებულება, უპასუხოდ ტოვებენ მშრომელთა წერილებსა და სიგნალებს, რომლებიც გამოქვეყნდა პრესაში ან გადაეგზავნა ორგანიზაციებს, უწყებებსა და დაწესებულებებს ზომების მისაღებად.

სამხრეთ ოსეთის საოლქო გაზეთ „საბჭოთა ოსეთში" მიმდინარე წლის 27 აპრილს გამოქვეყნდა ფელეტონი სათაურით „დათეს ხედავდნენ, კვალს ეძებდნენო". ფელეტონმა ფართო გამოხმაურება ჰპოვა მთელ ოლქში, იგი გახდა მსჯელობის საგანი პარტიული ორგანიზაციების კრებებზე და ყველგან მოწონება დაიმსახურა.

ფელეტონში მხილებული იყო საოლქო სამომხმარებლო კავშირის საწყობის გამგის ს. ცხოვრებოვის, ცხინვალის რაიონის დამზადების კანტორის ყოფილი უფროსის ა. ქოქოევის, ცხინვალაჟრობის № 8 მაღაზიის გამგის ა. ცხოვრებოვის, სხვადასხვა სავაჭრო ორგანიზაციების მუშაკების ქ. ლომსაძისა და ტ. თედეევის არაკეთილსინდისიერი ცხოვრება და „მოღვაწეობა", კერძოდ ის, რომ ეს არც ისე დიდი ხელფასის მქონე საქმოსნები მეტად ხელგაშლილად ცხოვრობენ, აიშენეს სახლები, იყიდეს „ვოლგები" და სხვადასხვა ფუფუნების საგნები.

მას შემდეგ ხუთი თვე გავიდა. ფელეტონის „გმირები" კი თავისუფლად დასეირნობენ, აუღელვებლად განაგრძობენ „მოღვაწეობას", არც პარტიის ცხინვალის საქალაქო კომიტეტი, არც სამხრეთ ოსეთის საოლქო პროკურატურა არ დაინტერესებულა გაზეთის მიერ აღძრული საკითხის განხილვით. კიდევ მეტი, კომბინატორებმა შური იძიეს და ორჯერ მიაყენეს შეურაცხყოფა გაზეთის ხელმძღვანელ მუშაკებს, რაც ცნობილია პარტიის ცხინვალის საქალაქო კომიტეტისა და საოლქო პროკურატურისათვის, მაგრამ როგორც ფელეტონი, ისე რედაქციის გაცხადებაც მაუდქვეშ არის ამოდებული და ზომებს არავინ იღებს.

იქნებ დაავიწყდათ ამ ამბანაგებს, რომ პარტიული ორგანიზაციის მოვალეობაა დროზე განიხილოს პრესის გამოსვლების უგულებელყოფის, კრიტიკისათვის პიროვნებათა დევნის ფაქტები, როგორც პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმების დარღვევა, როგორც ახლისადმი, პროგრესულისადმი წინააღმდეგობა და მისწრაფება შეაფერხონ მასების ინიციატივა და შემოქმედებითი აქტივობა.

გაზეთმა „კომუნისტმა" მიმდინარე წლის 2 მარტს თეორი წყაროს რაიონის პროკურორს გადაუგზავნა მამხილებელი წერილი, რომელშიც ეწერა: თეორი წყაროს რაიონის სოფელ დიდი თონეფოს სასადილო გატეხეს, ქურდი აღმოჩენილია, მაგრამ დაუსჯელად დასეირნობსო. მას შემდეგ თეორი წყაროს რაიონის პროკურორს ორჯერ გაუგზავნა შეხსენება (25 მაისს და 28 აგვისტს), მაგრამ იგი რატომღაც სდუმს.

გაზეთ „კომუნისტის" რედაქციიდან გადაგზავნილ მშრომელთა განცხადებებზე პასუხს აგვიანებენ თბილისისა და სოხუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომები, თბილისის ორჯონიკიძის, დუშეთის, ახალციხის რაიონული საბჭოს აღმასკომები, პარტიის ყვარლის, ახალქალაქის, წულუკიძის რაიკომები, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო, მთავრობისმაშინი, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო, ხაშურის რაიონის მილიციის განყოფილება, თბილისის წყალსადენის ტრესტი.

ამ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს უნდა მოვაგონოთ, რომ ბატონყაცური, აგდებული დამოკიდებულება პრესის სიგნალებისადმი, მისწრაფება პრესტიჟისა და წყენის მოსაზრებანი დააყენონ პარტიულ და სახელმწიფო ინტერესებზე მაღლა, ზიანს აყენებს საერთო საქმეს, შეუფერებელია სკკპ წევრის მაღალ წოდებასთან.

ამბანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირზე თქვა: „საჭიროა უსმოდ ბლად გავაკრიტიკოთ ისინი, ვინც უმბაგვსოდ ეკიდება მეურნეობის გაძღოლას, და ისინიც, ვინც მუნდირის ღირსების დაცვის სახით არსებითად ხელს აფარებენ ისეთ ადამიანებს, რომლებიც ზიანს აყენებენ სახელმწიფოს, ჩვენი სოციალისტური საზოგადოების ინტერესებს. საჭიროა გადამწყვეტი ბრძოლა გამოვუცხადოთ კრიტიკის ჩამხშობებს".

სწორედ კრიტიკის ჩახშობის ერთ-ერთი მეტად მავნე და დასაგმობი ფორმაა პრესაში გამოქვეყნებული ან გამოუქვეყნებელი სიგნალებისადმი უყურადღებობა.

მთელ ჩვენს ქვეყანაში დიდი გამოხმაურება და მშრომელთა მხარდაჭერა ჰპოვა ნადეედა ზაგლადას წერილმა. მუშაობაში ახლის, მოწინავის, ნოვატორულის დანერგვასთან ერთად მშრომელებმა სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს ზარმაცებს, უსაქმურებს, წამგლეჯებს.

ბევრი დამაფიქრებელი მაგალითები მოიყვანეს კოლმეურნეებმა და საწარმოთა მუშაკებმა კრებებსა და თათბირებზე, რომლებზეც განიხილავდნენ ამხ. ნ. ს. ზაგლადას წერილს. არა ერთი მუქთახორა და წამგლეჯი გამოვლინდა მშრომელთა წერილებში, რომლებიც დაიბეჭდა როგორც რესპუბლიკის, ისე საოლქო, საკავლქო და სარაიონთაშორისო გაზეთებში.

მაგრამ, სამწუხაროდ, მთელი რიგი ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები, საბჭოთა ორგანოები, კოლმეურნეობები და საწარმოები მკვეთრ და გადამწყვეტ ზომებს არ იღებენ ცხოვრების ამ ხორცმეტთა ასალაგმავად.

საჭიროა ამ დიდ მოძრაობასთან დაკავშირებით მშრომელთა ყოველი სიგნალი, პრესის პრინციპული გამოსვლა დაუყოვნებლივ განვიხილოთ შესაბამის პარტიულ კრებაზე, საწარმოთა თათბირზე, მუშათა, კოლმეურნეთა, ინტელიგენციის კრებებზე და გამოვლინებული აღმაშფოთებელ ფაქტებზე დაუყოვნებლივ მივიღოთ შესაფერისი ღონისძიება.

მშრომელთა წერილების რეაგირების დროს ზოგჯერ თვითონ გაზეთებიც სცოდავენ. მათ ერთი შეხედვით თითქოს ყველაფერი რიგზე აქვთ. რედაქციაში მამხილებელი წერილი შემოსულია საკმაო რაოდენობით, აღრიცხვაც სწორია, წერილი გადაგზავნილია ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში თავის დროზე... მაგრამ, შემდეგ, გარდა კანცელარიული მიწერ-მოწერისა გაზეთის პრაქტიული ორგანიზატორული მუშაობა არ ჩანს. რედაქცია არ დაინტერესებულა ადგილზე შეემოწმებინა, რატომ აგვიანებს პასუხს ესა თუ ის დაწესებულება ან ორგანიზაცია და ამის მიხედვით მიღებო ზომები, თუ საჭირო იქნებოდა ხელმეორედ გამოსულიყო სტატიით, საკითხის გარშემო შეექმნა საზოგადოებრივი აზრი.

ამიტომ არის რომ, მართალია, რედაქცია არ იშურებს ფურცს სხვადასხვა უსწორობათა და დამახინჯებათა აღწერისას, მაინც დამნაშავენი ხშირად დაუსჯელნი რჩებიან.

გაზეთი დაწყებულ საქმეს ბოლომდე უნდა გაჰყვეს, მაშინ იქნება კრიტიკა შედეგიანი, საქმე — დასრულებული.

პრესაში გამოქვეყნებული მასალების ქმედითობის საუკეთესო ფორმაა საზოგადოებრივი კონტროლი. გაზეთებმა და ჟურნალებმა ამ საქმისათვის ბრძოლაში უფრო ფართოდ უნდა ჩაჰაბან ავტორთა აქტივი, მუშა და სოფლის კორესპონდენტები, ფართოდ გამოიყენონ მუშა და სოფლის კორესპონდენტთა პოსტები, მასობრივი რეიდები, საზოგადოებრივი მისაღები ოთახები, შემოწმების უშტატო ბიუროები და მუშაობის სხვა ფორმები, რომლებიც ისე ფართოდ არის დანერგილი საგაზეთო მუშაობაში.

მშრომელთა არც ერთი სიგნალი, არც ერთი საგაზეთო შენიშვნა არ უნდა დარჩეს უყურადღებოდ — ასეთია ამოცანა.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲣᲪᲠᲐᲕᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲔᲠᲒᲝᲚᲣᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

ᲧᲕᲐᲠᲚᲔᲚ ᲛᲔᲕᲔᲜᲐᲮᲔᲗᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

საქართველოს კომპარტიის ყვარლის რაიკომის პირველმა მდივანმა გ. ზაუტაშვილმა რედაქციას აცნობა:

რაიონის მევენახეებმა საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში დიდ წარმატებას მიაღწიეს — გეგმის გადამეტებით დაამზადეს 2.000 ტონა ყურძენი. სახელმწიფოს ნაცვლად 10.000 ტონისა მიჰყიდეს 12.000 ტონა ყურძენი.

ვალდებულებათა განაღდებაში თავი ისახელეს ყვარლის, შილდის, გავაზის, ჭიკაანის, ახალსოფლისა და სხვა სოფლების მევენახეებმა.

ᲒᲐᲠᲐᲥᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲘ ᲢᲠᲘᲐᲚᲔᲑᲘ

ზესტაფონელ მევენახეთა სიხარულს საზღვარი არა აქვს. კარგა ხანია აქ ყურძენის ასეთი მოსავალი არ ყოფილა. სოფლების — ქვედა საჯაოს, ფუთის, კვალითის ვენახებში ბარაქის თვალი ტრიალებს.

ზესტაფონის რაიონმა წელს გეგმით 16.020 ტონა ყურძენი უნდა მიჰყიდოს სახელმწიფოს, მაგრამ რთვლის პირველ დღეები გვიჩვენებს, რომ აქაური მევენახეები ბევრად გადააჭარბებენ გეგმას. გუშინდელი მონაცემებით რაიონში მოიკრიფა და ჩაბარდა წარმოებას 6.048 ტონა ყურძენი, ვენახებს კი ჯერ თითქოს არაფერი მოჰკლებია.

ყურძნის კრეფაში განსაკუთრებით დაწინაურდნენ ქვედა საჯაოს კეცხოველის სახელობის, ფუთის აკაკი წერეთლის სახელობისა და სხვა სოფლების კოლმეურნეობები.

სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის საქმეში პატრიოტულ სულისკვეთებას იჩენენ კოლმეურნეები, მუშები, მოსამსახურეები, რომლებსაც საკარმიდამო ნაკვეთები აქვთ. მაგალითად, კოლმეურნე ო. გაბრიჭიძემ სახელმწიფოს მიჰყიდა 3.559 კილოგრამი ყურძენი, კოლმეურნე ბ. მახათაძემ — 3.200 კილოგრამი.

ზესტაფონის რაიონში რთველი სულ უფრო ჩაღდება. ღვინის ქარხნები შვიდწლედის მეოთხე წლის ხუთი მოსავლით ივსება.

ᲛᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲗᲐ ᲛᲝᲫᲛᲔᲓᲦᲔᲑᲐ

ᲯᲐᲕᲐᲜᲐ, 10 ოქტომბერი. (საკუთ.). რევოლუციური შეიარაღებული ძალების სამინისტრომ გამოაქვეყნა ცნობა ამერიკელი იმპერიალისტების ახალი პროვოკაციების შესახებ კუბის წინააღმდეგ. როგორც ცნობაში აღნიშნულია, ხუთ ოქტომბერს ამერიკის სამხედრო თვითმფრინავებმა ორჯერ დაარღვიეს კუბის საჰაერო საზღვრები.

ᲒᲐᲣᲨᲕᲔᲡ ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝ ᲗᲐᲜᲐᲛᲒᲖᲐᲕᲠᲘ

ნიუ-იორკი, 10 ოქტომბერი. (საკუთ.). ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალებმა გამოაცხადეს, რომ რაკეტის „ტორ-აგენა-ვ" საშუალებით გაუშვეს ახალი საიდუმლო თანამგზავრი.

როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტო იუწყება, ოფიციალურ ცნობაში გაშვების შესახებ აღნიშნულია იყო მხოლოდ, რომ ეს გაშვება მოეწყო გუშინ ვანდენბერგის საავიაციო ბაზიდან.

როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტო კორესპონდენტი ვანდენბერგის საავიაციო ბაზიდან იუწყება, ახალი ინსტრუქციების შესაბამისად, სამხედრო-საჰაერო ძალებმა არ უნდა გამოაცხადონ, შეძლეს თუ არა თანამგზავრის გაყვანა ორბიტაზე.

ᲘᲔᲛᲔᲜᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲪᲐᲕᲐᲓ ▢ ᲘᲔᲛᲔᲜᲘ ᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲘ ᲣᲪᲘᲐᲠᲐᲓᲔᲑᲘ ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ,

კაირო, 10 ოქტომბერი. (საკუთ.). სანიდან მიღებული ცნობებით, გუშინ მთელი დღის განმავლობაში გრძელდებოდა შეტაკება იემენის მთავრობის ჯარებსა და დაქირავებულთა რაზმებს შორის, რომლებიც საუდის არაბეთისა და იორდანიის ჯარების მხარდაჭერით მოქმედებენ. გაფთრებული ბრძოლები გიმართა ქალაქ საადის მახლობლად, სადაც საუდ-იორდანიის ჯარები ცდილობდნენ ღრმად შეჭრილიყვნენ იემენის რესპუბლიკის ტერიტორიაზე. სანის რადიო იუწყება, რომ დაქირავებულთა ჯარებმა დიდი დანაკლისი განიცადეს. რადიო აგრეთვე იტყობინება, რომ რესპუბლიკის მხარეზე გადავიდა ბევრი იემენელი, რომლებიც მონაწილეობდნენ ბრძოლაში საუდ-იორდანიის ჯარების მხარეზე.

კაირო, 10 ოქტომბერი (საკუთ.). როგორც პრესა იუწყება, საუდელმა მფრინავებმა, რომლებმაც ამ ოპერაციაში უშიაოლოდ ხელმძღვანელობდა მეფე საუდის შვილი ჰალედი,

ყოველკვირეული „ჰაერ საა" კომენტარს უკეთებს იემენის უკანასკნელ ამბებს და წერს: „არავითარი ეჭვი არ არის, რომ იემენის არაბთა რესპუბლიკის მიმართ მეფე საუდისა და მეფე ჰუსეინის აგრესიულ მოქმედებას ზურგს უმაგრებენ შეერთებული შტატები და ინგლისი, რომლებიც ყოველგვარ საშხედრო დახმარებას უწევენ იემენის ახალი რევოლუციური მთავრობის დამხობის მიზნით".

როგორც მენის საგენტო იუწყება, ამ საგენტოს სანელი კორესპონდენტი ადმინ ინტერვიუნა, იემენის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ ელ-ბეიდანმ განაცხადა, რომ „იემენის რევოლუციურმა მთავრობამ ინგლისის მთავრობის ყურადღება მიაპყრო სერიოზულ მდგომარეობას, რომელიც შეიქმნა საზღვრებზე იემენსა და ადენის ტერიტორიას შორის".

ელ-ბეიდანმ ბრალად დასდო ადენის ინგლისელ ხელისუფლებს ის, რომ ისინი ემირატის სულთანს ბეიჰანს უგზავნიდნენ იარაღსა და საომარ მასალებს იემენში საიდუმლოდ გადაგზავნისათვის. საგენტოს სიტყვით, ელ-ბეიდანმ მოითხოვა შეწყდეს ინგლისელი ხელისუფალთა ასეთი ძირგამომთხრელი საქმიანობა და ინგლისს საქმეთა რწმენებებულს განუცხადა: „იემენის მთავრობა ადენის რეკიციული წრეების ყოველგვარ ზეწოებს მიიჩნევს როგორც აგრესიას იემენის წინააღმდეგ. პროვოკაციების განმეორება და ჩარევა იემენის საშინაო საქმეებში, აგრეთვე ინგლისის ჯარების თავმოყრა მის საზღვრებზე იძულებულს გახდის იემენის მთავრობას სამხედრო დახმარებისათვის მიმართოს ყველა მშვიდობისმოყვარე ქვეყანას.

ᲑᲔᲭᲐᲜᲙᲣᲠᲘ ᲐᲫᲦᲘᲔᲠᲔᲑᲘ ᲠᲔᲙᲠᲔᲡᲘᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲙᲐᲠᲐᲩᲐᲔᲕᲘ, 10 ოქტომბერი. (საკუთ.). კონსტიტუციური გარანტიების გაუქმებამ ვენესუელაში დაუყოვნებლივ გამოიწვია დემოკრატიულ თავისუფლებათა ახალი შეზღუდვა. მთავრობის განკარგულებით დაიხურა გაზეთები „კლარინი" და „ორა", შემოღებულია წინასწარი ცენზურა პრესის. რადიოს, და ტელევიზიის ცნობებზე ვენესუელაში არსებული მდგომარეობის შესახებ.

ᲓᲘᲓᲘ ᲤᲝᲠᲣᲛᲘ

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ საშემდეგულებლო საქმის განვითარებას. სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვარის (1960 წ.) პლენუმის ტრიბუნიდან ნიკიტა სერგეი-ძე ხრუშჩოვმა მოუწოდა მეცნიერებსა და სპეციალისტებს უფრო ფართოდ დანერგონ ეს უმნიშვნელოვანესი ტექნოლოგიური პროცესი. მისი რჩევაა მოეწყოს მეცნიერთა შეხვედრები, ჯგუფური, ზონალური თათბირები, რათა ერთმანეთს გაუზიარონ გამოცდილება, პროპაგანდა გაუწიონ მიღწევებს.

ერთ-ერთი ასეთი შეხვედრა გაიხსნა 10 ოქტომბერს თბილისში. საშემდეგულებლო საქმის სპეციალისტები — ამიერკავკასიის მეცნიერები, შემდეგების კონსტრუქციათა დამპროექტებლები, ინჟინრები და ტექნიკოსები, წარმოების მუშაკები შეეკიბრნენ შემოქმედებითს კონფერენციაზე, რომელიც მიეძღვნა ახალი საშემდეგულებლო ტექნიკის დანერგვის პრობლემებს. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობენ აგრეთვე უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ე. ო. პატონის სახელობის ელექტროშედეგების ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა დიდი ჯგუფი ინსტიტუტის დირექტორისა და აკადემიის პრეზიდენტის აკადემიკოს ბ. ე. პატონის მეთაურობით, მოსკოვის, ლენინგრადის, ლიტვის, ესტონეთის, თურქმენეთის მეცნიერები.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ფილიალის ინჟინერ-ტექნიკოსთა ენერგეტიკოსთა ინსტიტუტ

გავუფრთხილდეთ მშრომელის სახელს

9 ოქტომბერს სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის შენობაში გაიმართა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის პლენუმი, რომელშაც განიხილა საკითხი ნ. გ. ზაგლადას სტატიის „გაუფრთხილდით მინდვრის მშრომელის ღირსებას!“ და რესპუბლიკის ჟურნალისტთა მოცანების შესახებ.

პლენუმზე მოხსენება გააკეთა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავჯდომარემ, გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორმა ი. ჩხეიძეშვილმა. ჩვენი ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი მოვლენის — სკკპ ისტორიული XXII ყრილობის პირველი წლისთავისა და დიდი ოქტომბრის 45-ე წლისთავის წინ,— თქვა მომხსენებელმა, — უკრაინელმა ჟურნალისტმა ნადეჟდა გრიგოლის ასულმა ზაგლადამ პრესაში გამოაქვეყნა სტატია „გაუფრთხილდით მინდვრის მშრომელის ღირსებას!“. ამ სტატიამ წამოიწია დიდი და განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი საუბარი შრომისადმი, საზოგადოებრივი მოვალეობისადმი ადამიანის დამოკიდებულების შესახებ. მათი იმ წმიდათა წმიდა ვალდებულების შესახებ, რომ გაუფრთხილდნენ საბჭოთა ადამიანის სახელს. უბრალო მშრომელმა ხალხის ფართო განხილვისათვის გამოიტანა კომუნისტური მშენებლობის ისეთი პრობლემები, რომლებსაც პარტია ეშმარიტად სახალხო, სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას ანიჭებს.

ნ. გ. ზაგლადას ამ წერილის გამოქვეყნებისთანავე ჩვენი რესპუბლიკის გაზეთებმა მიიღეს მშრომელთა უამრავი გამოხმაურება. რესპუბლიკაში არ არის არც ერთი გაზეთი, რომელსაც თავი აერიდებინოს ამ დიდმნიშვნელოვანი საკითხისათვის. მაგრამ თუ ცალკეული გაზეთები ამყოფელდებიან მხოლოდ ზაგლადას მიერ აღძრული საკითხების განხილვით, გამოხმაურების პუბლიკაციით, სხვა გაზეთები ფართოდ იყენებენ საგაზეთო ანერების მთელ მრავალფეროვნებას, ბეჭდავენ მოწინავე და პრობაგანდისტულ სტატიებს, კადრის მუშათა და კოლმეურნეთა, ძველ ბოლშევიკთა გამოსვლებს, ამზადებენ სპეციალურ თემატურ გვერდებს, აწყობენ და ახორციელებენ მასობრივ ღონისძიებებს.

ყველა საგაზეთო ანერი — ფელეტონები, ეგზეკარიკები, კრიტიკული კორესპონდენციები უფრო ფართოდ უნდა გამოვიყენოთ მუქთახორების, ლოთების, სოციალისტური საკუთრების დამტაცებლების, ბიუროკრატების, მექრთამეებისა და მათი მაგვარი ნაძირალების წინააღმდეგ, რათა ამ ომისაგან გავწმინდოთ ჩვენი საბჭოთა სახლი. მაგრამ, წარსულის სიბინძურისაგან ადამიანის სულის გაწმენდასთან ერთად უფრო მკაფიოდ და გამომსახველად უნდა გწეროთ იმ კეთილშობილურ, მამაცურ, დიდად პატრიოტულ საქმეებსა და მოქმედებაზე, რასაც საბჭოთა ადამიანები ყოველდღე და ყველგან სჩადიან. დასამალავი როდია, რომ ჩვენს გაზეთებსა და ჟურნალებში, რადიოგადაცემებსა და ტელეგადაცემებში ჯერ კიდევ ცოტაა კარგი ნარკვევები, ჩანახატები, რეპორტაჟები, კორესპონდენციები მეგობრობისა და ამხანაგობის შესახებ, ურთიერთდახმარებისა და ურთიერთდაზღვევის შესახებ შრომასა და ყოფაცხოვრებაში, კოლექტივის აღმზრდელობითი როლის შესახებ, სიმტკიცისა და გმირობის შესახებ, ერთგულებისა და მოვალეობის შესახებ, იშვიათად თუ წავიკითხავთ გაზეთში საინტერესო, დამაჯერებელ ნარკვევს შვიდწლედის გმირებზე. ასეთი მასალების აღმზრდელობითი როლი, მათი ზემოქმედება ადამიანებზე უდიდესია და მათ სათანადო ადგილი უნდა დავუთმოთ გაზეთების ფურცლებზე.

უბრალო მშრომელის, ჩვენი სამშობლოს მგზნებარე პატრიოტის წერილი ჩვენი სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ყველა დარგის მუშაკებს, მაშასადამე, ჟურნალისტებსაც შეეხება. ნ. გ. ზაგლადას სტატიას რომ ჩაუფიქრდება, ყოველმა უნებლიეთ უნდა ჰკითხოს საკუთარ თავს: ყველაფერი ვიღონე თუ არა იმისათვის, რომ შევიტანო ჩემი შრომის, გამოცდილების, ცოდნის სათანადო წვლილი საერთო შრომაში, კომუნიზმის მშენებლობაში, სპეტაკი თუ არა ჩემი სინდისი პარტიის წინაშე, ხალხის წინაშე,— ჩემი ამხანაგების კოლექტივის წინაშე? ჟურნალისტთა წრეში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლოვანებაა. უფრაფლი, უსახო სტატია გაზეთში, რომლის წაკითხვა არც კი სურს მკითხველს,— განა საქმისადმი სწორედ ის გულგრილი დამოკიდებულება არ არის, რომელზეც ზაგლადა წერს? პრესის მუშაკთა შორის ჯერ კიდევ არიან ისეთი ჟურნალისტები და ისეთი რედაქტორები, რომლებიც უმჯობესად აშკარა წუნს გაზეთში.

ჩვენ — საბჭოთა ჟურნალისტებს— არა გვაქვს უფრო მაღალი მოწოდება, თუ არა ის, რომ ჩვენი შრომით ხელი შეეწყოთ მუშათა და კოლმეურნეთა, ინჟინერთა და მეცნიერთა შთაგონებულ შემოქმედებას, რომლებიც განამტკიცებენ ჩვენი სამშობლოს ეკონომიურ ძლიერებას, ალამაზებენ დედამიწას და ყოველი საბჭოთა ოჯახის ცხოვრებას. ჟურნალისტის შრომა განუწყვეტლივ მგზნებარე ბრძოლაა. ჩვენ ყოველთვის მოელენთა შეადგენში უნდა ვიმყოფებოდეთ, ამ მოელენებით უნდა ვცხოვრობდეთ, ვხედავდეთ მიზანს, ვგრძობდეთ მას და მთელი ძალღონით, სულის მგზნებარებით ვისწრაფვოდეთ ამ მიზნისაკენ. მხოლოდ მაშინ ჟურნალისტს ყოველთვის ეცოდინება, თუ რაზე უნდა წეროს და როგორ უნდა წეროს, რათა არც ერთი დაწერილი სიტყვა ტყუილუბრალოდ არ იკარგებოდეს.

დასასრულ მომხსენებელმა თქვა: საპატიო და კეთილშობილური საბჭოთა ჟურნალისტების საქმეობა. დიდ და პასუხსაგებ ამოცანებს სახავს მათ წინაშე, თავისი თანაშემწეების წინაშე ჩვენი პარტია. მოდით, გავუფრთხილდეთ საბჭოთა ჟურნალისტის სამაგალითო სახელს, გავუფრთხილდეთ მის ღირსებას, დავაფასოთ პარტიის ნდობა, ყოველთვის ვიდგეთ კომუნიზმისათვის აქტიურ მებრძოლთა პირველ რიგებში.

მოხსენების გამო გაიმართა კამათი. პირველი გამოვიდა გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორის მოადგილე გ. ვარდოსანიძე.

ზაგლადას სტატია, თქვა მან, ჩვენს საქმიანობასაც შეეხება. პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ ჩვენ, ჟურნალისტებს მაინც ბევრი ნაკლი გვაქვს. ჩვენი პრესა ჯერ კიდევ საკმაო თანამიმდევრობითა და პრინციპულობით ვერ აწარმოებს ბრძოლას ჩვენი მრეწველობის, სოფლის მეურნეობის მაღალი დონისათვის. ამ მხრივ ჩვენი ბრძოლა ეპიზოდური ხასიათისაა. საბრძოლო სულისკვეთება — ეი ყველაზე არსებითი, რასაც ცხოვრება მოითხოვს ჟურნალისტებისაგან. და თუ გვინდა მაღლა გვეჭიროს პარტიის თანამშემწეთა სახელი — უნდა ავიმაღლოთ ჩვენი ჟურნალისტური ოსტატობა.

გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის“ რედაქტორმა გ. ბედნენიშვილმა ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ შეხვდა რესპუბლიკის ახალგაზრდობა უკრაინელი კოლმეურნის ნ. გ. ზაგლადას წერილს. საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, დაწესებულებებში ქალიშვილები და ჭაბუკები განიხილავენ ამ წერილს და აღძრავენ სერიოზულ საკითხებს, რომლებიც მაღალი მორალის, კომუნისტური შეგნებულობის სულისკვეთებით საბჭოთა ადამიანის აღზრდას შეეხება. გაზეთი „მოლოდიოჟ გრუზიი“ ფართოდ ამუქებს გამოხმაურებას ნ. გ. ზაგლადას წერილზე, იყენებს ისეთ ჟანრებს, როგორიც არის პუბლიცისტური სტატია, ნარკვევი, კორესპონდენცია, წერილები.

— საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაში, რომელიც პარტიის XXII ყრილობამ მიიღო, — თქვა საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრმა ო. ქავთარაძემ, — ჩამოყალიბებულია კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსი. პარტიის ახალი პროგრამა გვასწავლის, რომ კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ადამიანი უნდა გამოირჩეოდეს ისეთი თვისებებით, როგორიც არის უსაზღვრო ერთგულება პარტიის საქმისადმი, სოციალისტური სამშობლოსადმი. იგი უნდა იყოს პატიოსანი და მართალი, მორალურად სპეტაკი, უბრალო და თავმდაბალი საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაში. შრომობდეს საზოგადოების საკეთილდღეოდ. სწორედ ეს საკითხებია აღძრული შესანიშნავი მშრომელის ნადეჟდა გრიგოლის ასულ ზაგლადას სტატიაში.

მაგრამ ჯერ კიდევ ყველას როდი ესმის ნათლად ამ სტატიის არსი, არსი იმ მოთხოვნებისა, რომლებსაც აყენებს დღეევანდელი ცხოვრება საბჭოთა ადამიანის წინაშე. ჯერ კიდევ გვხვდებიან ადამიანები, რომლებიც არ უფრთხილდებიან საბჭოთა მშრომელის ღირსებას, ირღვევენ საზოგადოებრივ წესრიგს, ითვისებენ სხვისი შრომის ნაყოფს. ასეთ ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებათა აღმოსაფხვრელად აქტიურად უნდა დავრაზმოთ მთელი საზოგადოებრიობა. ჩვენი პრესისა და ჟურნალისტთა მოვალეობა კი ის არის, რომ ხელი შეუწყონ ამ ფრიად დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური ღონისძიების წარმატებით შესრულებას. ჟურნალისტებმა უფრო მჭიდრო კონტაქტები უნდა დაამყარონ მილიციის, სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოებთან, მართალი სიტყვითა და ბასრი კალმით ამხილონ ყოველი მახინჯი მოვლენა, რაც ხელს უშლის ჩვენი საზოგადოების წინსვლას კომუნიზმისაკენ.

თელავის სარაინთაშორისო გაზეთის „ალაზნის განთიადისა“ და გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთის“ მუშაობაზე ილაპარაკეს პლენუმზე მათმა რედაქტორებმა შ. როსტომაშვილმა და ხ. ახალიამ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორმა ლ. ბერადოვმა, გაზეთ „სოვეტ გურჯისტანის“ რედაქტორმა მ. მურადოვმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ პ. შამათავამ, ქუთაისის ვ. ი. ლენინის სახელობის მაუდის ფაბრიკის მქსოველმა, გაზეთ „ქუთაისის“ შტატგარეშე განყოფილების წევრმა მ. სილაგაძემ ილაპარაკეს საბჭოთა ადამიანის აღზრდის, მასში მაღალი მოქალაქეობრივი მოვალეობის, კომუნიზმის საქმისადმი ერთგულების გრძნობის განვითარების აქტიურად საკითხებზე.

ინტერესით მოისმინეს მახარაძის რაიონის სოფელ ბახვის კოლმეურნეობის მოწინავე მერგოლოსა და შამეშელის გამოსვლა, რომელშაც პლენუმის მონაწილეებს გაუზიარა თავისი შთაბეჭდილებანი ნ. გ. ზაგლადას სტატიის შესახებ.

განხილულ საკითხზე პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილება.

პლენუმმა განიხილა აგრეთვე ორგანიზაციული საკითხი.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ მ. ა. გოგიჩაიშვილმა. (საქდესი).

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის პლენუმი

ნერგავენ სიახლეებს

ჭიათურა. (საკ. კორ.). ჭიათურელი მარგანეცის ქალაქში ერთ კვირას იმყოფებოდა მოძმე უკრაინის დნეპროპეტროვსკის სახალხო მეურნეობის საბჭოს ნოვატორთა საბჭოს დელეგაცია.

უკრაინელ მეგობრებს ჭიათურელი მაღაროელები გულთბილად შეხვდნენ. მათ ურთიერთს გაუზიარეს გამოცდილება, უჩვენეს ტექნიკური სიახლენი, რომლებსაც დანერგავენ ნიკოპოლში.

სტუმრებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს სტალინის სახელობისა და ახალი ითხვისის მაღაროები, დარკვეთისა და ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკები, მადნის საცდელი სადგური და პიროქსიდების გამამდიდრებელი ფაბრიკა.

ნოვატორთა საბჭოს სწავლულმა მდივანმა ი. პოლიაკოვმა განაცხადა: „ახალი ითხვისის მაღაროსა და გამამდიდრებელ ფაბრიკებში ძალიან მოგვწონა მექანიზაციის მაღალი დონე, დღის განათება, ავტომატური შეზეთვა, მაგნიტური დამჭერები და სხვ. ვფიქრობთ ეს სიახლენი გადავიტანოთ ჩვენს საწარმოებში.

უკრაინელ ნოვატორთა დელეგაციის ყოფნამ ჭიათურაში უთუოდ შეუწყო ხელი წარმოების სიახლეთა და ნოვატორული აზრის გაზიარება-დანერგვას, ხალხთა დიადი მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას.

საპატიო წიგნი ქარხანაში

ბათუმი. (საკ. კორ.). ქარხანა „ელექტროკარი“ ერთ-ერთი მოწინავე საწარმოა.

ამ დღეებში ქარხანაში შემოიღეს საპატიო წიგნი. საპატიო წიგნში უკვე შეიტანეს საწარმოს თორმეტი მოწინავე ადამიანის გვარი, რომლებიც თავდადებული შრომისა და კომუნისტური ცხოვრების მაგალითი გახდნენ. საპატიო წიგნში შეტანილთა შორის არიან: ავტოკარის მძღოლი შ. მელუა, ზეინკალი ვ. კალიტი, ელექტრომამდუღებელთა კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი ა. გიგინეიშვილი, ზეინკალი ვ. ჭყონია, რ. ფხაკაძე, კ. ვაშაკიძე და სხვ.

ᲛᲔᲦᲕᲠᲘᲐ ᲜᲐᲙᲐᲚᲘ

ᲕᲘᲗᲐᲠᲐ. ორლობაში მრავალი ძაღლის შემოტევას უნდა გაუძლოთ, სანამ სოფლის სავაჭრო წერტში შეხვალთ, რომელიც შენობის ქვედა სართულშია მოთავსებული. შეხვალთ, და უიატაკო ოთახში მაშინვე სინესტის სუნი გეცემათ. თუ ყველ-ფერს ყურადღებით დააკვირდებით, გული დაგწყდებათ. ეს ულიმლამო ადგილი ძველი, ხმარებიდან გამოსული ნივთების საკუთნოს უფრო ჰგავს, ვიდრე თანამედროვე კულტურულ სავაჭროს.

— ბევრი გაქვთ ჩაწოლილი საქონელი? — ვეკითხებით წერტის გამგეს ეთერ თანიაშვილს.

ის რატომღაც წითლდება, ალბათ სირცხვილი აწუხებს:

— გახლავთ. ეს ეს ქუდები რვა წლის წინათ სავაჭრო წერტი რომ ჩამბარეს, მაშინ შემოიტანეს. არ იყიდება.

— კიდევ რა გაქვთ ისეთი, რომელიც არ იყიდება?

— აქ თითქმის ყველაფერი ძველია. აი ბაფთები, ნახშირის უთოები, კაბები, თავშლები...

თარიგებზე აწყვია ერთი წყვილი აზიური გალშა, რომდენიმე ჩექმა, ქალის ბოტები, გახუნებული კაბები, მცირეოდენი გალანტერია. ეს არის და ეს. მართალია, წერტში არის პირველი მოთხოვნილების საქონელი — ნავთი, მარილი, ასანთი, საპონი, შაქარი, ფქვილი, მაგრამ ეს ხომ არ კმარა.

— რატომ არ მოგაქვთ ახალი საქონელი?

— მომაქვს. რაც კარგია, მაშინვე იყიდება. მოგეხსენებათ, რაიონული ცენტრი ახლოა და ჩვენებურები იქაურ მაღაზიებს უფრო ეტანებიან.

— რამდენი გაქვთ ხელფასი?

— თვეში ოცდაშვიდი მანეთი. ზოგჯერ ოცდაათი მანეთიც მიმიღია. აქედან ნაწილს სახლის პატრონს ვაძლევ ქირაში.

საუბრის დროს შუახნის კაცი შემოვიდა სავაჭროში.

— ეს სახლის პატრონი გახლავთ, — მითხრა ეთერმა.

— გამარჯობათ. თქვენია ეს სახლი?

— დიახ.

— რამდენს იღებთ ქირას?

— ათ მანეთს. აქედან სოფლის კოოპერატივი მაძლევს 6 მანეთსა და 40 კაპიკს, დანარჩენს კი — ნოქარი.

— ნოქარი რა შუაშია?

— აბა რა ვიცი.

— კი, მაგრამ ამ ხელფასით როგორღა ცხოვრობთ? — ვეკითხებით ეთერს.

— გაჭირვებით. ეს კიდევ არაფერი. წერტის ყარაულობაც მე მევალება, ზოგჯერ მთელ ღამეებს აქ ვათენებ.

— იქნებ ბევრი საქონელი იმიტომ არ მოგაქვს, რომ გეშინია წერტი არ გაგიტეხონ.

— არა.

განა ასეთი ვაჭრობით მოვიგებთ მომხმარებლის გულს?!

✦

დაგვეწანა ეთერი. იგი ცუდი მუშაკი როდია, ცოდნაც აქვს და გამოცდილებაც. 9 კლასის გარდა, მოთხგარიშეობის ორწლიანი კურსები დუშეთავრებია, ცხოვრობს წერტიდან ორ კილომეტრზე სოფელ თანიაანთკარში.

სად ხდება ეს საუბარი? დუშეთის რაიონის სოფელ ყვავილში, რაიონული ცენტრის მახლობლად.

ასეთი წერტები სხვაგანაც ბევრია.

შევედით რაიკავშირის გამგეობის თავჯდომარე შოთა ქავთარაძესთან, ვუამბეთ ყვავილის სავაჭრო წერტისა და მისი გამგის ამბავი.

— საიდან მოდის სავაჭრო ქსელში ისეთი საქონელი, რომელიც არ იყიდება. რატომ ვერ მიიგო ჩვენმა ზოგიერთმა მაღაზიამ მომხმარებელთა გული?

— ამას თავისი მიზეზები აქვს, — ამბობს შოთა, — სავაჭრო ქსელში ზოგჯერ მოაქვთ საქონელი, რომელიც თავისი ხარისხით არ უპასუხებს მშრომელთა მაღალ გემოვნებას. ჩვენი მრეწველობის ზოგიერთი საწარმო ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს პროდუქციის ხარისხს, არ უფრთხილდება საფაბრიკო თუ საქარხნო მარკის ღირსებას, უშვებს ზუნდებულ პროდუქციას.

— ასე იქმნება უხეირო პროდუქციის ნაკადი, რაც მშრომელთა სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს.

დუშეთის რაიკავშირის მთავარ საწყობში აწყვია სოხუმის ტყავფეხსაცმლის კომბინატის მიერ გამოშვებული 4202 არტიკულის ფეხსაცმელი, რომელსაც მშვენიერი ზედაპირი აქვს, მაგრამ ლანჩა ადვილად სძერება. თითო წყვილი ფეხსაცმელი წონით 900 გრამია. ცხადია, იგი მომხმარებელს არ უნდა.

აქვე ერთ წელიწადზე მეტია, რაც აწყვია ქალის რეზინის ფეხსაცმელი (ბოტი), რომელიც დიდი ხანია მოდიდან გამოვიდა, ღირდა 4 მანეთი და 49 კაპიკი. ახლა იგი 2 მანეთი ღირს, მაგრამ მაინც არ იყიდება.

ორი წელიწადია საწყობს „ამშვენებს“ ქუთაისის სამკერვალო ფაბრიკის ნახელავი — მამაკაცის კურტაკები და შარვლები. რომლებიც ულაზათოდ არის შეკერილი. თეატრალური დადგმის რეკვიზიტად თუ გამოდგება ქალის ფეხსაცმელი (არტიკული რ. 4.644), თბილისის ფეხსაცმლის ინდივიდუალური შეკერვის არტელის მიერ გამოშვებული, რომელიც რაიკავშირში ერთი წლის წინათ მიიღეს. ეს ფეხსაცმელი 24 მანეთი და 50 კაპიკი ღირდა, ახლა მას შემცირებული ფასი აქვს, მაგრამ მყიდველი მაინც არა ჩანს.

ასეთი საქონელი რაიკავშირის სავაჭრო ქსელში ცოტა როდია.

სამწუხაროა, რომ ვაჭრობის მუშაკები ნაკლებად სწავლობენ მომხმარებელთა მოთხოვნებს. ზოგჯერ შემოაქვთ საქონელი, რაზედაც მოთხოვნილება არ არის.

კვლავ მოდის მღვრიე ნაკადი. ერთი თვის წინათ რაიკავშირის ცენტრალურ საწყობში მიიღეს ასი ცალი უხეიროდ შეკერილი შარვალი. იგი შარშან გამოშვებულია ქუთაისის სამკერვალო ფაბრიკის ერთ-ერთ დასტურ-ფასიანი ... ...

თავისუფალი ალჟირის ხმა

ასამბლეა მიესალმება ბენ ბელას

ნიუ-იორკი, 9 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც გუშინ, დღესაც სასხვიერულო ხალისიანი ატმოსფერო სუფევდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, რაც იმან გამოიწვია, რომ ამ საერთაშორისო ორგანიზაციის წევრად მიიღეს სახალხო დემოკრატიული ალჟირის რესპუბლიკა.

ალჟირის წარმომადგენლებს განსაკუთრეული გულთბილად მიესალმა კუბის წარმომადგენელი მარიო გარსია ინჩაუსტეგი. კუბელი ხალხისათვის, თქვა მან, განსაკუთრებით გასაგებია ის სასხვიერულო გრძნობები, რასაც დღეს განიცდის ალჟირი, გამარჯვება რომ მოიპოვა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდა ასაბლეა სახალხო დემოკრატიული ალჟირის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს ბენ ბელას, რომელიც ტრიბუნაზე ავიდა.

დღეს, ამ სიხარამ ყამს, თქვა ბენ ბელამ, ჩვენ უწინარეს ყოვლისა, ვიხსენებთ იმათ, ვინც სიცოცხლე გასწირა იმისათვის, რომ ალჟირი შეერთებოდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ოჯახს. დელეგაციების მოლოცვები ჩვენ მიგვაჩნია ალჟირელი ხალხის ვაჟკაცობისა და შეუპოვრობის დაფასებად, ხალხისა, რომელიც შვიდი წლის განმავლობაში იბრძოდა თავისი დამოუკიდებლობისათვის.

ალჟირის მთავრობის მეთაურმა მადლობა გადაუხადა იმ ქვეყნებს, რომლებიც მებრძოლი ალჟირელი ხალხის მხარეზე იყვნენ.

ალჟირელი ხალხის გამარჯვება, განაცხადა მან, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ განარღვევი იმ ძლავრი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოვლინებაა.

ბენ ბელამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ კოლონიურმა ბატონობამ და ხანგრძლივმა სისხლისმღვრელმა ომმა ახალგაზრდა რესპუბლიკას დაუტოვეს მძიმე მემკვიდრეობა — სიღატაკე, სკოლების ნაკლებობა, ჯანმრთელობის დაცვის ცუდი მდგომარეობა. ჩვენ, განაგრძო მან, იმ ქვეყნებთან, რომლებმაც ამას წინათ მოიპოვეს დამოუკიდებლობა, გვაკავშირებს საერთო მიზანი — კოლონიური სისტემის ლიკვიდაცია. საქმე ეხება ანგოლას, როდეზიას, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას თუ დასავლეთ აფრიკაა, ალჟირი უთუოდ მხარს დაუჭერს ბრძოლას ხალხთა საბოლოო განთავისუფლებისათვის. ილაპარაკა რა კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების დეკლარაციის შესახებ, ორატორმა განაცხადა, რომ ალჟირი ყოველ ღონეს იხმარს მისი უსწრაფესი განხორციელებისათვის.

ალჟირის მთავრობის მეთაურმა მოუწოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, რაც შეიძლება მალე აღდგინოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერი უფლებანი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.



თავისუფალი ალჟირი, განაცხადა თავისი სიტყვის დასასრულს ბენ ბელამ, ძმურად უწვდის ხელს ყველას. ალჟირი გაწამებული იყო უამრავი ომისაგან და ახლა მთელი ძალ-ღონით შეუწყობს ხელს მშვიდობის განმტკიცებას.

ბენ ბელას სიტყვა უდიდესი ყურადღებით მოისმინეს.

მოლაპარაკება ჟენევაში

ჟენევა, 10 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ საბჭოთა წარმომადგენლის ს. კ. ცარაპკინის თავმჯდომარეობით ჟენევაში გაიმართა სამი სახელმწიფოს ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის ქვეკომიტეტის სხდომა. სხდომაზე პირველნი გამოვიდნენ ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატი სტელე და ინგლისის დელეგატი სმიზერსი, რომლებმაც სიტყვა-სიტყვით კიდევ ერთხელ გაიმეორეს თავიანთი წინანდელი გამოსვლები დასავლეთის პოზიციის დასაცავად ამ საკითხში. ამავე დროს ინგლისის წარმომადგენლის გამოსვლა შეიცავდა მოწოდებას „რაც შეიძლება მალე დაიდოს შეთანხმება ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ".

საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ს. კ. ცარაპკინმა უპასუხა სმიზერსს. როგორც მან აღნიშნა, ინგლისის დელეგატის ყველა განცხადება, რომ სასურველია დაიდოს ასეთი შეთანხმება, მხოლოდ ორატორული ხერხია, მხოლოდ საშუალებაა იმისათვის, რომ შენიღბოს ინგლისის დელეგაციის ოფიციალური პოზიცია ჟენევის მოლაპარაკებაში და თავიდან ააცილოს მას საყვედურები და ეჩვი მისი ნამდვილად ნეგატიური როლის გამო მოლაპარაკებაში ატომური იარაღის ყველა გამოცდის შეწყვეტის შესახებ. ს. კ. ცარაპკინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მოლაპარაკება ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის თაობაზე შეთანხმების დადების შესახებ უნდა წარმოებდეს არა ამერიკის იმ მიუღებელი მოთხოვნების ბაზაზე, რომ შეიქმნას კონტროლის საერთაშორისო სისტემა და საგალდებულო ინსპექცია, არამედ იმ ბაზაზე, რომ ასეთი შეთანხმების შესრულებისადმი კონტროლისათვის გამოყენებულ იქნეს ატომურ აფეთქებათა აღმოჩენის ეროვნული საშუალებანი საგალდებულო ინსპექციის შემოუღებლად.

კ. გოტვალდის ნეშტის გადატანა

პრაღა, 10 ოქტომბერი. როგორც ჩეხოსლოვაკიის დეკანშათა საგენტო იუწყება, 9 ოქტომბერს გაიმართა ცერემონია კლიმენტ გოტვალდის ნეშტის გადატანისა პრაღის ეროვნული პანთეონის ცენტრალური დარბაზის სარკოფაგში.

ცერემონიას დაესწრნენ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები და წევრობის კანდიდატები, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები.

ახალი პროვოკაცია

ბერლინი, 10 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც ადნის საგენტო იუწყება, დასავლეთ ბერლინის ფაშისტური ბანდის წევრებმა შაბათს შეაღწიეს 30-მეტრიანი გვირაბით დემოკრატიული ბერლინის ტრეპტოვის რაიონში და შეეკრნენ იქ კერძო ბინაში. სამი ბანდიტი შეიარაღებული იყო ავტომატებით. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის უშიშროების ორგანოებმა დროზე მიიღეს ზომები ღა ჯეროვანი პასუხი გასცეს დამრღვევებს. ერთი დამნაშავე მძიმედ დაჭრილია, დანარჩენები დაიკავეს.

გვირაბში იპოვეს ინგლისური, ფრანგული და დასავლეთგერმანული ვაზნები 9 მილიმეტრი კალიბრისა, „სტენ მკ-3" ტიპის ინგლისური ავტომატი მჭიდე და ამერიკული წარმოშობის ტანსაცმელი.

როგორც ადნის საგენტომ შეიტყო ავტორიტეტული წყაროებიდან, მიიჩნიათ, რომ ეს თავდასხმა ახალი საშიში რგოლია იმ ავანტიური აქტების ჯაჭვისა, რომელსაც დასავლეთ ბერლინიდან აწყობენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრისა და რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ. ამასთან დაკავშირებით ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენელნი, რომლებიც გამოდიან სხვა სუვერენული სახელმწიფოს საზღვრის დამრღვევ შეიარაღებულ დამნაშავეთა დამცველებად, ფეხქვეშ თელავენ საერთაშორისო სამართლის ელემენტარულ ნორმებს.

ბერლინში მომხდარი ამ სეროზული სასაზღვრო ინციდენტის გამო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციაში ავტორიტეტულმა პირებმა განაცხადეს, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელიც უზრუნველყოფს თავის უშიშროებას და იცავს მშვიდობის საქმეს, კვლავაც მის განკარგულებაში არსებული ყველა საშუალებით დაიცავს თავის საზღვარს.

ადენაუერის გამგზავნა გუნდესტაგში

ბონი, 9 ოქტომბერი. (საკდესი). საზაფხულო არდადეგების შემდეგ დღეს ბონში გაიმართა დასავლეთ გერმანიის ბუნდესტაგის პირველი სხდომა. საგარეო და საშინაო პოლიტიკის საკითხებზე მთავრობის განცხადება გააკეთა კანცლერმა ადენაუერმა. მისი სიტყვის საგარეოპოლიტიკური ნაწილი ძირითადად იმას მიეძღვნა, რომ გაემართლებინა გერმანიის მშვიდობიანი მოწესრიგების საბოტაჟის პოლიტიკა, რასაც ბონი და მისი მოკავშირენი ახორციელებენ.

ანგოლა! რა წარმოგიდგება თვალწინ, როცა გესმის ამ მრავალტანჯული ქვეყნის სახელი? — სისხლის მდინარეები, უდანაშაულო მსხვერპლნი, რომლებიც დაეცნენ პორტუგალიელ ჯალათთა ხელით. ჩაგრული ხალხის უუფლებობა და სიღარიბე. გადამწყვარი სოფლები.

მაგრამ სულ უფრო ხშირად და ძალუმად გაისმის სახელში — „ანგოლა" უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ხალხის გადამწყვეტი ბრძოლის მრისხანე მოტივი.

სურათზე: ანგოლელი პარტიზანები.

ტელეგრამები გვატყობინებს

◆ **ინგლისის** ორთქლმავლების მემანქანეთა და მეცეცხლურთა გაერთიანებული პროფკავშირის ეროვნულ აღმასკომში აირჩიეს შოტლანდიელი კომუნისტი ნილ მილიგენი. იგი ამ პროფკავშირის განყოფილების წარმომადგენელი იქნება შოტლანდიასა და ირლანდიაში.

◆ **ლონდონის** კინოთეატრ „კლასიკში" დაიწყო საბჭოთა ფილმის „მშვიდობა ახალშობილს" ჩვენება. სურათი ინგლისელ კინოხელოვნების მოყვარულთა დიდ ინტერესს იწვევს.

◆ **იემენის** პრემიერ-მინისტრმა ალბდალა ალ-სალიალმა გამოსცა დეკრეტი იემენის არაბთა რესპუბლიკის ახალი ალმის შესახებ. იემენის ახალი სახელმწიფო ალმი სამი ზოლისაგან — შავი, თეთრი და წითელი ზოლებისაგან შედგება, ცენტრში მწვანე ვარსკვლავია.

◆ **რუმინეთის** სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ იონ გეორგე მაურერმა გაუგზავნა უგანდის პრემიერ-მინისტრს ბ-ნ მილტონ ობოტეს დეპეშა, რომელშიც ატყობინებს, რომ რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ცნოს უგანდა დამოუკიდებელ და სუვერენულ სახელმწიფოდ.

◆ **ბერმანეთის** დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ოტო გროტეოლმა გაუგზავნა უგანდის პრემიერ-მინისტრს მილტონ ობოტეს მისალოცი დეპეშა ამ სახელმწიფოს დამოუკიდებლობის გამოცხადებასთან დაკავშირებით. დეპეშაში აღნიშნულია, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ცნოს უგანდა დამოუკიდებელ და სუვერენულ სახელმწიფოდ.

◆ **ბულგარეთში** გაიხსნა მესამე საერთაშორისო კონგრესი ინფექციური პათოლოგიის საკითხებზე. რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სასახლის დიდ დარბაზში შეიკრიბნენ 25 ქვეყნიდან ჩასული ინფექციური პათოლოგიის სპეციალისტები, აგრეთვე მრავალი რუმინელი მეცნიერი მუშაკი და ექიმი.

თვითმკვლელობის მიზეზი გაჭირვეგაა

პარიზი, 9 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის საგენტოს კორესპონდენტი იუწყება. სეულიდან, სამხრეთ კორეას ამქამად პირველი ადგილი უკავია მსოფლიოში თვითმკვლელობის რაოდენობით. ყოველ წელიწადში აქ 100 ათასიდან საშუალოდ 28 კაცი იკლავს თავს. კორესპონდენტი იმოწმებს ცნობებს, რომლებიც მოყვანილი აქვს სეულის სამედიცინო კოლეჯის პროფესორს უ კიმს, და იუწყება, რომ თვითმკვლელობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია უაღრესი გაჭირვება.

ამერიკის უხეში ჩარევა

ოსლო, 9 ოქტომბერი. (საკდესი). ნორვეგიის სანაოსნო კომპანიამ „ვილჰელმსენმა" ერთ-ერთ თავის გემს „ტენერიფეს" აუკრძალა კუბაში შესვლა, სადაც ამ გემს უნდა წაეღო 300 ტონა შებოლილი ქაშაყი. ეს ტვირთი კუბამ შეისყიდა ნორვეგიაში სავაჭრო შეთანხმების შესაბამისად.

როგორც კომპანიის დირექტორის სტენდის განცხადებიდან ჩანს, ეს გადაწყვეტილება უწინარეს ყოვლისა გამოწვეულია შეერთებული შტატების მხრივ უხეშ ზეგავლენით და რეპრესიების შიშით იმ შემთხვევაში, თუ ნორვეგიის ამ კომპანიის გემები არ შეწყვეტენ ტვირთის გადატანას კუბისათვის. კომპანიის ბევრი გემი განუწყვეტლივ აწყობს რეისებს ამერიკის შეერთებულ შტატებში, და როგორც სტრანდმა აღნიშნა, ამ რეისების აკრძალვა კომპანიისათვის კატასტროფა იქნებოდა.

გაზეთი „მორგენპოსტენი" აკრიტიკებს შეერთებული შტატების პოზიციას და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კუბის ნავსადგურების ბოიკოტი დიდ საფრთხეს შეიცავს.

ხელოვნება — ხალხს

პეკინი, 8 ოქტომბერი. (საკდესი). ყოველწლიურად ასეულ ათასობით მაყურებელი ავსებს სახალხო ჩინეთის კინოთეატრებს, კულტურის სასახლეებს, კლუბების მაყურებელთა დარბაზებს. განთავისუფლებამდე ერთ მილიონ მცხოვრებზე ჩინეთში მოდიოდა მხოლოდ ერთი კინოდანადგარი. უკვე 1960 წელს მათი რიცხვი 25-ჯერ გაიზარდა.

ახლა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში 33 კინოსტუდია, მათ შორის მხატვრული ფილმების 11 სტუდიაა. 1949 წელს ასეთი კინოსტუდია მხოლოდ ოთხი იყო. ჩინეთის წამყვანი სტუდიებია "ანხაის კინოსტუდიები „ხაიანი" და „ტიანმა". ჩინეთში სახალხო ხელისუფლების დამყარების შემდეგ ეს კინოსტუდიები ხელახლა მოაწყეს. ახლა ჩინეთის ეს უძველესი კინოსტუდიები აღჭურვილია თანამედროვე საბჭოთა და სამამულო კინემატოგრაფიული ტექნიკით და უშვებენ სხვადასხვა ფილმს.

მეგობროგის ერთთვიური

ბუქარესტი, 9 ოქტომბერი. (საკდესი). დანიშნულ საათზე კარგა ხნით ადრე შეიკრიბნენ გუშინ რუმინეთის დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს თეატრში რუმინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურის დაწყებისადმი მიძღვნილ საზეიმო კრებაზე.

საზეიმოდ მორთული სცენის სიღრმეშია ცოცხალი ყვავილებით და სსრ კავშირისა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ალმებით შემკობილი ნ. ს. ხრუშჩოვისა და გ. გეორგიუ-დეჟის პორტრეტები და ლოზუნგი „გაუმარჯოს რუმინეთ-საბჭოთა კავშირს მეგობრობას".

არლუსის გენერალური, საბჭოს თავმჯდომაოის მოადგილემ აკადემიკოსმა კოსტანტინესკუ-იასმა კრების გახსნასას მის მონაწილეებს გააცნო საბჭოთა კავშირ-რუმინეთის მეგობრობის საზოგადოების დელეგაცია ა. პ. ბოიკოვას მეთაურობით, რომელიც დარბაზში იყო. შემდეგ მოხსენება გააკეთა არლუსის გენერალური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ იორგუ იორდანმა. მომხსენებელმა დაწერილებით ილაპარაკა საბჭოთა ხალხის წარმატებებზე შვიდწლიანი გეგმის შესრულებაში, იმაზე თუ რა კეთილნაყოფიერ გავლენას იხდენს საბჭოთა კავშირისა და რუმინეთის ხალხების მეგობრობა სოციალისტური ბანაკის განმტკიცებაზე.

საბჭოთა კავშირ-რუმინეთის მეგობრობის საზოგადოებისა და მთელი საბჭოთა ხალხის სახელით კრების მონაწილეებს მიესალმა საბჭოთა დელეგაციის მეთაური ა. პ. ბოიკოვა.

პარიზი, 9 ოქტომბერი. (საკდესი). პოლიტიკურ პარტიებთან ერთად პროფკავშირები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები მოუწოდებენ მოსახლეობას უარყოს კონსტიტუციის რეფორმის პროექტი. ასეთი პოზიცია დაიკავეს შრომის საყოველთაო კონფედერაციამ, საფრანგეთის ქრისტიან მშრომელთა კონფედერაციამ, „ფორს-უვრიერმა", მასწავლებელთა ეროვნულმა პროფკავშირმა, განათლების მუშაკთა ფედერაციამ, სოფლის მეურნეობის მუშაოთა ფედერაციამ, ადამიანის უფლებათა ლიგამ.

ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში, ქარხნებსა და დაწესებულებებში ეწყობა მიტინგები, რომლებზეც სხვადასხვა პარტიის წარმომადგენელნი მოითხოვენ ერთობლივ ბრძოლას კონსტიტუციის შეცვლის წინააღმდეგ.

სენტ-ტიენში (ქვემო ალპები), ელემის (ნორი) რკინიგზის სახელოსნოებში, კოტდიუ-ნორის დეპარტამენტში, ალფორტვილის (სენა) საკოქსავ ქარხანაში, კომენისტური პარტიის, სოციალისტური პარტიის, სახალხო რესპუბლიკური მოძრაობის პარტიისა და სხვადასხვა პროფკავშირის ორგანიზაციებმა გამოაქვეყნეს განცხადებანი, რომლებშიც ვმობენ დეგოლის ბონაპარტისტულ გეგმებს.

საზოგადოებრივი ორგანიზაციები და პოლიტიკური პარტიები პროტესტს აცხადებენ იმის წინააღმდეგ, რომ სახელმწიფო ბოროტად იყენებს რადიოსა და ტელევიზიის მონოპოლიას, რომლებიც გადასცემენ მხოლოდ მთავრობის მოღვაწეთა და დე გოლის პარტიის — ახალი რესპუბლიკის დაცვის კავშირის განცხადებებს, უზღუდავენ პოლიტიკურ პარტიებს, რომლებიც კონსტიტუციის რეფორმის წინააღმდეგ იბრძვიან, შესაძლებლობას გამოვიდნენ საფრანგეთის ხალხის წინაშე რესპუბლიკის დასაცავად.

უარვყოთ კონსტიტუციის რეფორმის პროექტი

საზავო ხელშეკრულება საჭიროა

ბერლინი, 9 ოქტომბერი. (საკდესი). საბჭო ხელშეკრულების დადების გზით გერმანიის საკითხის გადაჭრა, გამალებული ატომური შეიარაღების შეწყვეტა მოითხოვეს ქილი გამართული ქალთა კონფერენციის მონაწილეებმა.

კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ჩრდილოეთ რაიონების 200 ქალმა, აგრეთვე სკანდინავიის ქვეყნების ქალთა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

კონფერენციაზე გამოსულმა ორატორებმა აღნიშნეს, რომ საჭიროა განიარაღება და ომის პროპაგანდის შეწყვეტა.

სამშობლოში გამომგზავრება

ნიუ-იორკი, 9 ოქტომბერი. (საკდესი) საბჭოთა სასოფლო-სამეურნეო დელეგაცია სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრის კ. გ. პისარენკოს მეთაურობით ნიუ-იორკიდან სამშობლოში გამომგზავრა. დელეგაცია ერთ თვეს იყო ამერიკის შეერთებული შტატების სასოფლო-სამეურნეო რაიონებში, გაეცნო სხვადასხვა კულტურის წარმოების აგროტექნიკას და მოსავლის აღებას, აგრეთვე მეცხოველეობას.

საბჭოთა სპეციალისტები შეხვდნენ ამერიკის შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობის მინისტრს ფრომენს, სამინისტროს პასუხისმგებელ თანამშრომლებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, ფერმერებს.

დამნაშავეობა — ეროვნული უბედურება

ტოკიო, 9 ოქტომბერი. (საკდესი). 5 ათასზე მეტმა იაპონელმა პოლიციელმა დაიწყო დღეს ღილით რეიდი განგსტერთა ბანდებისგან იაპონიის დიდი ქალაქების გასაწმენდად. შუადღისათვის, როგორც კიოდო ცუსინის საგენტო იუწყება, პოლიციამ უკვე დააპატიმრა დაახლოებით ათასი კაცი. დაპატიმრებულებს ჩამოართვეს დიდძალი სხვადასხვა სასროული და ცივი იარაღი.

დამნაშავეობა ეროვნული პრობლემა ხდება იაპონიაში. გაზეთ „სანკეი სიმბუნის" მონაცემებით, იაპონიაში მოქმედებს 4970 ბანდიტური ორგანიზაცია, რომლებიც 162 ათასზე მეტ დამნაშავეს აერთიანებენ. მარტოოდენ ტოკიოში 250 განგსტერთა ბანდაა, რომლებშიც 38 ათასი კაცია.

სამხედრო მანევრები პოლონეთში

ვარშავა, 9 ოქტომბერი. (საკდესი). წვრთნის გეგმის თანახმად, რომელიც ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების შეიარაღებული ძალების გაერთიანებულმა სარდლობამ დაიწყო, ოქტომბრის პირველ დეკადაში პოლონეთის დასავლეთ ზღვისპირეთისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ჩრდილოეთ ნაწილის ტერიტორიაზე მოეწყო სამხედრო მანევრები პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრის გენერალ-პოლკოვნიკ მ. სპიხალსკის ხელმძღვანელობით. მანევრებში მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა კავშირის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სხვადასხვა გვარეობის შეიარაღებული ძალების სამხედრო ქვეგანაყოფებმა.

წვრთნის მსვლელობას თვალყურს ადევნებდნენ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. გომულკა, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. ცირანკევიჩი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმის მარშალი ჩ. ვიციხი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი რ. სტშელეცკი. მანევრებს დაესწრნენ ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი საბჭოთა კავშირის მარშალი ა. ა. გრეჩკო, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრი არმიის გენერალი ჰ. პოფმანი, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკისაგან — არმიის გენერალი ლ. სელეუანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისაგან — გენერალ-პოლკოვნიკი დ. ჯუროვი, აგრეთვე ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სხვა ქვეყნების სამხედრო დელეგაციები.

სამხედრო მანევრებმა ცხადყო ჯარების მაღალი საბრძოლო მომზადება, შტაბების კარგი ორგანიზაცია, მეგობარი არმიების ჯარის ქვეგანაყოფთა ზუსტი თანამოქმედება ხმელეთზე, ზღვაში და ჰაერში საბრძოლო ამოცანების შესრულების დროს, რამაც ხელი შეუწყო საბრძოლო და იდეური ძმობის შემდგომ გაღრმავებასა და განმტკიცებას.

მინისტრი ურჩევს...

პარიზი, 10 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ საღამოს პარიზის რადიოთი და ტელევიზიაში გამოვიდა საფრანგეთის ინფორმაციის საკითხთა მინისტრი კრისტიან ფუშე, რომელმაც ოფიციალურად დაიწყო საფრანგეთის ამჟამად მოქმედი კონსტიტუციის რეფორმის საკითხზე 28 ოქტომბრის რეფერენდუმის მომზადებისა და მოწყობის კამპანია.

ფუშემ ურჩია ტელემაყურებლებსა და რადიომსმენელებს „არ შეუშინდნენ" საყოველთაო კენჭისყრით რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევის ფორმას, რადგან ზოგიერთ ქვეყანაში სახელმწიფოს მეთაურს ირჩევს ქვეყნის მთელი მოსახლეობა. თუ ფრანგები რეფერენდუმში მხარს დაუჭერენ გენერალ დე გოლს, განაცხადა მინისტრმა, ამით ისინი დაამტკიცებენ, რომ „არა ნაკლებ მომწიფებული არიან პოლიტიკურად, ვიდრე სხვები".

ეროვნული ბანკი

ალჟირთან ორმხრივი ეკონომიკური ურთიერთობა

ალჟირი „საერთო ბაზრის" წინააღმდეგია

ამას წინათ ლონდონში დამთავრდა ევროპეთწოდ ე ბ ულ ბრიტანეთის ერთა თანამეგობრობის ქვეყნების კონფერენცია. იგი მიეძღვნა უმთავრესად ინგლისის ნავარაუდევ შესვლას ევროპის ეკონომიურ გაერთიანებაში, რომელიც უფრო მეტად ცნობილია „საერთო ბაზრის" სახელწოდებით.

სპეციალური კონვენციის პირობებით, „საერთო ბაზრის" შესახებ ხელშეკრულების მოქმედება ევროპის ეკონომიური გაერთიანების წევრთა კოლონიურ სამფლობელოებზეც ვრცელდება. ამ საფუძველზე წინათ ამ გაერთიანებასთან ძალდატანებით „ასოციირებული" იყვნენ აფრიკის ქვეყნები, რომლებიც „საერთო ბაზრის" შექმნის მომენტში საფრანგეთისა და ბელგიის კოლონიებს წარმოადგენდნენ. ამიტომ ინგლისის შესვლა „საერთო ბაზარში" ავტომატურად მოახდენს გავლენას ინგლისის ახლანდელ კოლონიებსა და მისგან დამოკიდებულ იმ ტერიტორიებზე, რომლებიც აფრიკის კონტინენტზე მდებარეობენ. თავიანთი ნების წინააღმდეგ ისინი ჩათრეული აღმოჩნდებიან ევროპის ეკონომიური გაერთიანების სისტემაში.

ინგლისი დიდმნიშვნელოვანი საექსპორტო ბაზარია ნიგერიისა, ტანგანიკისა, უგანდისა და აფრიკის სხვა ქვეყნებისათვის, რომლებიც ბრიტანეთის თანამეგობრობას ემხრობიან. თანამეგობრობის სისტემაში პრაქტიკაშია ეგრეთწოდებული „საამპერიო პრეფერენციები" — განსაკუთრებული პრივილეგიები, რომელთა მიხედვით ამ ქვეყნების ნედლეულის გასაღება თანამეგობრობის ბაზრებზე შეღავათებით სარგებლობს. „საერთო ბაზრის" შესახებ ხელშეკრულების დებულებანი კი ასეთი პრივილეგიების ლიკვიდაციას მოითხოვენ და, როგორც ინგლისური გაზეთი „ტაიმსი" წერდა, თითქმის არ არსებობს მათი შენარჩუნების იმედი. მას შემდეგ, რაც ინგლისი ევროპის ეკონომიურ გაერთიანებას შეუერთდება, აფრიკის ქვეყნების ექსპორტი პრეფერენციებსა და ინგლისის ბაზარზე გასაღების გარანტიას დაკარგავს და მაშინვე წაადგება სხვა მიმწოდებელი ქვეყნების უძლიერეს კონკურენციას.

მაგრამ ფინანსური ზიანი, რაც აფრიკის ქვეყნების ექსპორტს მიადგება, მხოლოდ ნაწილია იმ საფრთხისა, რომელსაც ევროპის „ექსესულთან" „ასოციაცია" შეიცავს. აფრიკის ქვეყნებს, რომლებსაც ინგლისი „საერთო ბაზარში" ჩათრევას უპირებს, ევროპის ეკონომიური გაერთიანების ნეოკოლონიალისტური სისტემის ქსელში გახვევენ.

ევროპის ეკონომიური გაერთიანების დასავლეთევროპელი წევრები მოითხოვენ უფლება მიეცეთ უბაჟოდ შეიტანონ აფრიკის ქვეყნებში თავიანთი სამრეწველო საქონელი. ეს გამოიწვევს აფრიკის ქვეყნების ბაზრების ავსებას ევროპული საქონლით და სეფიროულ საფრთხეში ჩააყენებს მათი ეროვნული მრეწველობის განვითარებას. გამოჩენილმა კენიელმა ეკონომისტმა მვაი კიბაკიმ განაცხადა, რომ ევროპის ეკონომიურ გაერთიანებასთან „ასოციაციით" „შეუძლებელს გახდის აფრიკის ქვეყნებისათვის გაატარონ ინდუსტრიალიზაცია, სახსრებიც რომ მოეპოვებოდეთ, ვინაიდან მათი მრეწველობა ვერ გაუძლებს კონკურენციას ევროპის ეკონომიური გაერთიანების ფარგლებში".

ევროპის ეკონომიურ გაერთიანებასთან „ასოციაციის" შემთხვევაში აფრიკის ქვეყნები კვლავაც დარჩებიან დასავლეთ ევროპისათვის იაფი სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის მიმწოდებლების მდგომარეობაში, ამ ნედლეულის მსოფლიო ფასები კი ღლეთიდღე ეცემა. ეს ახალ ზარალს უქადის სუსტად განვითარებულ ქვეყნებს. მთელ ხელსაყრელობას კი „ექსესული" მიიღებს, იმიტომ რომ აფრიკის ქვეყნები ვერ შეძლებენ მოკლე ხანში გახდნენ თანასწორი პარტნიორები ვაჭრობაში.

აფრიკის ქვეყნებს „საერთო ბაზარში" — ნატოს ეკონომიურ დანამატში შესვლის სამხედრო ასპექტიც აწუხებთ. ევროპის ეკონომიური გაერთიანების ყველა ევროპელი მონაწილე შედის ამ აგრესიულ ბლოკში, რამაც არ შეიძლება გავლენა არ მოახდინოს მათს ურთიერთობაზე სხვა ქვეყნებთან. ამ შიშის შესახებ პირდაპირ განაცხადა ლონდონის კონფერენციაზე უგანდის პრემიერ-მინისტრმა მ. ობოტემ. „მე სავსებით დარწმუნებული ვარ, — თქვა მან, — რომ ევროპის ეკონომიური გაერთიანება არა მარტო ეკონომიური ორგანიზაციაა, არამედ პოლიტიკური ორგანიზაციაც არის, რომელიც მნიშვნელოვანწილად სამხედრო მიზნებს ისახავს".

ლონდონის კონფერენციის შედეგებმა იცხადყო, რომ თუმცა ინგლისმა გადაწყვიტა შევიდეს „საერთო ბაზარში", მაგრამ აღმოსავლეთ და დასავლეთ აფრიკის ყველაზე დიდმა სახელმწიფოებმა, რომლებიც ბრიტანეთის თანამეგობრობას ემხრობიან, უარყვეს „საერთო ბაზრის" კარდახშული დაჯგუფება, შეაფასეს იგი როგორც საფრთხე თავიანთი ეკონომიური და პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის.

კონფერენციაზე ინგლისის მთავრობამ, მიუხედავად მთელი მეცადინეობისა, ვერ მოახერხა დაერწმუნებინა აფრიკის ქვეყნები იმაში, რომ ევროპის ეკონომიურ გაერთიანებასთან „ასოციაცია" თითქოს შეესაბამება მათს ინტერესებს. განამ, ნიგერიამ, ტანგანიკამ, უგანდამ განაცხადეს, რომ მათს ქვეყნებს არა სურთ მონაწილეობა მიიღონ „საერთო ბაზარში".

„საერთო ბაზართან" რაიმე კავშირის წინააღმდეგ მტკიცედ გამოდიან რესპუბლიკა განა და ნიგერია. განას ფინანსთა მინისტრმა ფ. გოკამ ლონდონის კონფერენციის სხდომაზე თქვა, რომ ინგლისის მოსაზრებანი „საერთო ბაზრის" სასარგებლოდ წარმოადგენენ ნიღაბს, რომელიც ახალგაზრდა ერების ექსპლოატაციას ფარავს. მან მოუწოდა აფრიკის ქვეყნებს გაერთიანონ თავიანთი ღონისძიებანი და ერთად ეცადონ პრობლემების გადაწყვეტას, არ შეიბოჭონ თავი ევროპის ეკონომიურ გაერთიანებასთან კავშირით.

ამ დღეებში ნიგერიის ფედერაციის პრემიერ-მინისტრმა აქუმაჰარ ტაფავა ბალევამ ლონდონიდან დაბრუნების შემდეგ პარლამენტის ორივე პალატის გაერთიანებულ სხდომაზე განაცხადა, რომ „ნიგერია არავითარ გარემოებაში არ ეცდება განახორციელოს ასოციაცია ევროპის ეკონომიურ გაერთიანებასთან".

ბალევამ აღნიშნა, რომ ევროპის ეკონომიური გაერთიანება წარმოადგენს დასავლეთ ევროპის მთელი რიგი ქვეყნების არა მარტო ეკონომიურ კავშირს, არამედ სამხედრო-პოლიტიკურ კავშირსაც. ასეთ გაერთიანებაში შესვლა, თქვა მან, შეუთავსებელი იქნებოდა ბლოკებთან შეუერთებლობის პოლიტიკასთან. ასეთი ნაბიჯი ხელს შეუშლიდა მსოფლიოს ყველა ქვეყანასთან ვა

არა, არ გიხმობენ მწუხრის ზარები...

როგორ დაღუპა დედამ შვილი

ყველაზე დიდი ბედნიერება ქვეყნად ეხლო�d იმის ხვედრია, ვინც შეძლო ბუნების ულამაზესი ქმნილების — ადამიანის სულს მისწვდომოდა, გული ეცნო, სიყვარული და ნდობა დაემსახურებინა.

ბევრი ყოფილა ჩვენში სხვათა სიხარულის მომნიგე, ცხოვრებაში მწე და მოიმედე, მაგრამ ცოტას როდი აუღია ვვერდი დაუძლურებული, ცრუ რწმენის ყვდიადში, რელიგიის დილეგში გამომწყვდეული ადამიანისათვის.

და განა ადამიანს აქვს უფლება გულდამშვიდებით უცქიროს, სულიერად დაძაბუნებულ, მინანქარივით ტურფა ქალიშვილს რომ მოკრძალებით ეპყრას ხელში ბიბლია და მისი ლამაზი ტუჩები დღენიადაგად იმეორებდეს: „მოთმინებითა შენითა მოიპოვე სული შენი"...

მაინც რა უნდა ჰქონოდა მოსთმენები და შესაკავები გორის ციხის თვალწინ ადგომა კედლების მიდამოებში გაზრდილ გოგონას, რა ზარი ეწია მის სიცოცხლეს, ვინ უმუხთლა, ვინ შეასვა შხამით სავსე ფიალა, ჯანი ვარაყად ვინ მოახვია ოცდაერთი წლის იზოლდა მეჩითოვას.

განა სულ ეხლახან არ იყო, მისი ზღვისფერი, უდარდელი თვალები აღტაცებით უმზერდა ამ ცას, ამ მთებს, ასკინკილას თამაშით შემოარბენდა შაუმიანის მოკირწყლულ ეზოს, მზესავით ღია, აცისკროვნებული შეირბენდა გორის მეორე საშუალო სკოლის ეზოში, გალალებულ ტოლებთან ერთად მიუჯდებოდა მერხს და სხაპასხაპით უპასუხებდა ყველაფერზე.

— არ მახსოვს, იზოლდას როდისმე გაკვეთილი არ სცოდნოდეს, — დანანებით ამბობს ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

— ჩემს საგანში მუდამ ხუთიანი ჰქონდა, — კვერს უკრავს ინგლისურის მასწავლებელი.

— შესანიშნავი პიონერი, მისაბაძი კომკავშირელი იყო, — აცხადებს უფროსი პიონერხელმძღვანელი.

— ყოველთვის სამაგალითო, სასახელო იყო, — საერთო აზრს გამოთქვამს სახწავლო ნაწილის გამგე.

ისიც კარგად ახსოვთ ახლობლებს, აღმზრდელებს, რა ადრე გაიღვიძა მის არსებაში გაზაფხულის სიყეყლუცემ, სითბომ და სინატიფემ.

მაგრამ ყოველთვის სეჯდა რამ თან ხდებედა აღტაცებას, უზადო ფიქრებს.

ამ დროს მასზე ამბობდნენ სკოლაში:

— თავის ასაკთან შედარებით იზოლდა უფრო დინჯი და დაკვირვებული გახდა.

— იზოს თვალებს დარდი და ნაღველი შეემატა.

მაგრამ არავის არ უცდია ჩაეხედა მის გულში, წარმოედგინა, რა განსაცდელს უძლებდა გოგონას გაორებული შინაგანი სამყარო. კაცთმოყვარული გრძნობებით არავის გადაულახავს მისი ეზოს ჩახურულ-ჩარაზული კარი, თორემ დაინახავდა, უსათუოდ დაინახავდა ხატის წინ დაჩოქილ, ზეცისკენ ხელაპყრობილ იზოლდას დედას. ნათელი გახდებოდა გოგონას სულიერი ბრძოლის მიზეზი, მისახვედრი იქნებოდა, როგორ გამოსტაცა სკოლას, აღმზრდელებს, კომკავშირს დედამ საკუთარი პირშუა და „სულის საამებელ" ბნელეთის გზას გაუყენა უხმოდ, უდრტვინველად.

ბევრჯერ მობჯენია გოგონას ყელში ცრემლები... არსებობდა და კარგად მუშაობდა სკოლაში კომკავშირული ორგანიზაცია. კომკავშირელი მეჩითოვაც მშვენივრად ახრულებდა ყოველგვარ დავალებას: იყო პიონერული რაზმის ხელმძღვანელი, მოსწავლეთა კომიტეტის წევრი, ჰყავდა ამხანაგები და მაინც არავინ ეგულებოდა გვერდით.

იზოლდას კიდევ უფრო გაუძლიერდა რწმენისადმი მიდრეკილება სკოლის დამთავრების შემდეგ. ვერ მოხვდა უმაღლეს სასწავლებელში, უიმედოდ ჩაიფერფლა გულის სიღრმეში დაბადებული, ლამაზი და ყმაწვილური პირველი გრძნობები. სისხლით ნათესავმა, სრულიად ახლობელმა ადამიანმა მოინდომა მისი ნორჩი სხეული სავაჭროდ გამოეყენებინა. მეგობრებმაც არ მიუგდეს ყური, არ ახსნეს საბურველი მის ტკივილებს. იმათ მაშინ გაიგეს იზოლდას გასაჭირი, როცა დედამ აღმა-დაღმა ხეტიალის შემდეგ იგი ღვთის მსახურთა სადგომში — მცხეთის დედათა მონასტერში მიიყვანა და მოლოზნის შავი ძაძით შემოსა.

— ნაუ, ნაუ, ნაუ — გულშემზარავად რეკენ მწუხრის ზარები. ხანდაზმული მოლოზნების გვერდ-გვერდ სალოცავსაკენ მიიჩქარის იზოლდა — ისევე ნორჩი, როგორც პირველი კვირტი თვალგახელილი, ისევე ხასხასა, როგორც მდელო აფეთქებული.

რელიგიურმა წეს-ჩვეულებებმა მთლიანად მოიცვეს მისი ახალგაზრდა, უცოდველი სიცოცხლე.

დღეები დღეებს მისდევდა, თვეები-თვეებს. გვიან, მაგრამ მაინც გამოჩნდნენ ადამიანები, აღმოჩნდნენ გულშემატკივრები. მიუალერსეს, მზრუნველის კალთა გადააფარეს, გამოსტაცეს მონასტრის შემოღამებულ კედლებს, მუუდრო და ნათელი ბინა მიუჩინეს, სამსახური გამოუნახეს.

იზოლდას ირგვლივ ყველაფერი ცეცხლად აინთო, აწუქდა და აკიაფდა.

მაგრამ ერთ დღეს ყველაფერი თავდაყირა დატრიალდა. დაუკითხავად დატოვა სამსახური, ხელი აიღო უმაღლესში გამოცდების ჩაბარებაზე და მცხეთიდან გადაიკარგა.

რა მოხდა? ვინ დაურღვია კვლავ სულის სიმშვიდე?

...ერთხელ იზოლდა ავადმყოფობდა. გორის საავადმყოფოში იწვა. ზრუნვით მეტად კმაყოფილი იყო. მაგრამ ერთხელ შემთხვევით თვალი მოკრეს გამოლებულ უჯრაში გადაშლილ წიგნს, დახედეს, ბიბლია შერჩათ ხელში. როგორც გამოირკვა, მორწმუნე დედა აქაც ცდილობდა საღვთო წერილების კითხვით ამოეგლიჯა იზოლდას გონებაში ჩასახული ნათელი სხივი: „ყოველი სულიერი უზენაესის მორჩილი უნდა იყოს, არაფერი არ არსებობს ღვთის გარეშე" — წვეთ-წვეთად სწამლავდა იმის არსებას.

როგორც ადრე, არც ახლა ეყო იზოლდას ნებისყოფა გამკლავებოდა მორწმუნე დედის გაკლებას. ხელი ჩაიქნია ყველაფერზე, რაც უკანასკნელ ხანს მის არსებაში კარგი და სასურველი მოდა.

იზოლდა მეჩითოვას დასახსნელი ფარხმალის დაყრა ჯერ კიდევ ადრეა. ადამიანმა, გულთამხილავმა ადამიანმა უნდა იბრძოლოს მისთვის, მშვიელის ხელი გაუწოდოს, უთხრას, დაარწმუნოს: არა, არ გიხმობენ მწუხრის ზარები! შენს ნორჩ არსებას სიცოცხლე უღიმის, შენთვის არსებობს სიხარული და ბედნიერება. გესმის? წარმტაცი ცხოვრების მაუწყებელმა ზარმა უკვე ჩამოკრა! იგი ჩვენთვის ეღერს, გვეძახის, გვიხმობს, მომეცი ხელი, ვიაროთ ერთად ბედნიერების შესახვედრად.

თინა ზარგინავა.

ᲠᲐ ᲕᲜᲐᲮᲐᲗ, ᲠᲐ ᲛᲝᲕᲘᲛᲘᲜᲝᲗ

ᲗᲐᲢᲠᲘᲡ

11 ოქტომბერი

რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი (საზამთრო), პლეხანოვის სახელობის კლუბი (საზამთრო), ჭავჭავაძის სახელობის კლუბი — ხანგრძლივი განმარტების შემდეგ, **ამირანი** (საზამთრო), **ისანი** (საზამთრო), **საქართველო** (წითელი დარბაზი) — შემწყვდევა, **კომკავშირელი, 26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი), **საქართველო** (მწვანე დარბაზი), **ყაზბეგი** (მეორე დარბაზი) — მოხერხებული პეტრე, **ამირანი** (საზაფხულო) — სიყვარულის პაემანი — **ოქტომბერი** (საზაფხულო) — დონ-ჟუანი, **ისანი** (საზაფხულო) — მეიდი ძმის შვილი საცოლე.

12 ოქტომბერი

პირველი პროგრამით

08.30 — საესტრადო კონცერტი, 09.20 — ს. ნასიძე. საფორტეპიანო ტრიო, 11.00 — გაზეთ „ნორჩი ლენინელის" ფურცლებზე, 11.15 — უკრავს ლუ ში-კუნი, 12.15 — სიმღერები შრომითი რეზერვების თვითმქმედი ანსამბლების შესრულებით, 12.45 — რუსული ხალხური ლირიკული სიმღერები, 13.40 — ბახი. სიუიტა სი მინორი, 17.20 — ესტონური მუსიკა, 17.40 — გადაცემა მოსწავლეთათვის, 18.05 — ქალთა ანსამბლების კონცერტი, 18.45 — ლისენკო. პირველი რაფსოდია უკრაინულ თემებზე, 19.15 — სიმფონიური საცეკვაოები, 19.45 — საუბარი „მრგვალი მაგიდის გარშემო" — საერთაშორისო თემაზე, 20.20 — ჯერი სკოტის კონცერტი, 21.05 — გადაცემა — „პასუხი რადიომსმენელთა შეკითხვებზე", 21.20 — პოპულარული სიმფონიური მუსიკა, 22.20 — კ. ლორთქიფანიძე. „როდესაც ქაცი მარტოა", 22.40 — საკავშირო რადიოს საესტრადო ორკესტრის კონცერტი.

ᲥᲐᲚᲐᲥᲘ თბილისში 1962 წლის 20-დან 25 ოქტომბრამდე ეწყობა **სარესპუბლიკათაშორისო სანიშნო სავაჭრო ბაზრობა საქონლის შესასყიდად და გასაყიდად ნიმუშებითა და სპეციფიკაციებით.**

ბაზრობაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული არიან **სანიშნო** და **საცალო** სავაჭრო ორგანიზაციები და **ყველა სისტემის საწარმოები** როგორც საქართველოს სს რესპუბლიკიდან, ისე სსრ კავშირის სხვა რესპუბლიკებიდან.

გამოტანილ იქნება სამრეწველო და სასურსათო საქონელი ფართო ასორტიმენტით.

ბაზრობაში მონაწილეობის მსურველნი განაცხადებს გზავნიან შემდეგი მისამართით: **ქ. თბილისი, პლეხანოვის პროსპ. № 9,** დეპეშებისათვის — **თბილისი, სავაჭრო საშუამავლო კანტორა, ტელეფონი 9-88-24.**

საქართველოს სავაჭრო საშუამავლო კანტორა.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მომარაგება-გასალების მთავარი სამმართველო აცხადებს საქართველოს სსრ ყველა დაწესებულების მშენებლობის და ორგანიზაციის ხელმძღვანელთა საყურადღებოდ, **რომ მიმდინარე წლის 1 ნოემბრიდან ჩატარდება მატერიალურ-სასაქონლო ფასეულობათა წლიური ინვენტარიზაცია,** რის გამო შემდეგ სამმართველოებში:

ლითონმომარაგება-გასაღების, ელექტრო და რადიოტექნიკის მრეწველობის ნაწარმის — მომარაგება-გასაღების, ხეტყის და ქაღალდის მრეწველობის ნაწარმის, მომარაგება-გასაღების, კვების მრეწველობის ნაწარმის მომარაგება-გასაღების, მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის ნაწარმის მომარაგება-გასაღების, ქიმიური მრეწველობის ნაწარმის მომარაგება-გასაღების

და აგრეთვე ქუთაისის საერაონთაშორისო კანტორის საწყობებსა და ბაზებში აღწერებთან დაკავშირებით აღნიშნულ ორგანიზაციებში დროებით შეწყვეტენ ყოველგვარ ოპერაციებს.

დაწესებულებების, მშენებლობების და ორგანიზაციების შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველსაყოფად, საჭიროა 1962 წლის 1 ნოემბრამდე მიიღონ აღნიშნული საწყობებიდან და ბაზებიდან აუცილებელი მასალების მოწყობილობები და კომპლექტაციის ნაწარმი 1962 წ. ფონდების ანგარიშში.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მთავარი მომარაგება-გასალება.

რედაქტორი

დ. მჟედლიშვილი.

ᲐᲠᲐᲮᲝᲠᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲘᲡᲘᲜᲘ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲘᲙᲐᲕᲔᲑᲔᲜ ᲛᲔᲠᲮᲔᲑᲡ

ᲐᲛᲐᲡ წინათ უჩვეულო გამოცოცხლება იგრძნობოდა ახალციხის პირველ საშუალო სკოლაში. ახალციხის სკოლა-ინტერნატის სასწავლო კორპუსში — პირველი საშუალო სკოლის ყოფილ შენობაში მოვიდნენ უკვე ხანში შესული ადამიანები, რომლებმაც 25 წლის წინათ დაამთავრეს ახალციხის პირველი საშუალო სკოლა და ამ სკოლის პირველი გამოშვების კურსდამთავრებულებად ითვლებიან.

განმეორებული ახალგაზრდობის და სიხარულის გრძნობით შეუსხდნენ მერხებს ყოფილ მოსწავლეები: ექიმი ა. ჯინჭარაძე, პოეტ ე. დიდიმამაშვილი, ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი ს. საღათერაშვილი, თელავის რაიონის სოფელ კისისხევის კოლმეურნეობის ზოოტექნიკოსი ს. ევსტაფიევი, ახალციხის სარაიონთაშორისო. გაზეთ „წითელი დროშის" წერილების განყოფილების გამგე თ. ჩილაშვილი და სხვები.

გაკვეთილის შემდეგ სტუმრები ახალციხის ახალ, სამსართულიანი სკოლის შენობისაკენ გაეშართნენ. ყოფილ მოსწავლეებს სიყვარულით მიესალმნენ საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებულ მასწავლებელი თ. დიასამიძე და სხვები.

ს. მიქუტაძეშვილი.

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲕᲠᲐ

თბილისის კავშირგაბმულობის სახლში გაიხსნა საქართველოს კავშირგაბმულობის მუშაკთა კულტურის სახლი, რომლის დარბაზი 700-მდე მაყურებელს იტევს. აქ ჩამოყალიბებულია ქორეოგრაფიული, დრამატული, უცხო ენათა შემსწავლელი და საკადრაკო წრეები.

პირველი ღონისძიება კულტურის სახლმა მოუძღვნა ჭადრაკში ქალთა შორის მსოფლიო პირველობას.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲔᲜᲪᲘᲙᲚᲝᲞᲔᲓᲘᲐ

გერმანული ბიბლიოგრაფიული ბიულეტენები და გაზეთები წერენ, რომ ლაიპციგში მზადდება გამოსაცემად ენციკლოპედიური ნაშრომის „ხელოვნების ოქტაბრიანონის" ორტომიანი კაპიტალური გამოცემა. იგი გაშუქებს ხელოვნების თეორიასა და პრაქტიკას, ხელოვნების ისტორიას.

ენციკლოპედიის გამოცემაზე მუშაობენ ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის, ბელგიის, დასავლეთ გერმანიის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის უნივერსიტეტების გამოჩენილი მეცნიერი მეშაკები.

ენციკლოპედიის შექმნაში მონაწილეობას იღებს მოსკოვის გამომცემლობა „საბჭოთა ენციკლოპედიის" თანამშრომლები.

„ხელოვნების ლექსიკონში" დიდი ადგილი ეთმობა ქართულ კულტურას. აღმოსავლეთის აკადემია, სადაც მიმოხილული იქნება ქართული არქეოლოგიაც, გამოვა პროფ. მოლეს რედაქციით.

მსოფლიო ნუმიზმატიკის მიმოხილვა (აქვეა ქართული ნუმიზმატიკაც) პროფესორ ზულეს რედაქციით დაიბეჭდება. ქართულ არქიტექტურაზე მოთხრობილი იქნება განყოფილებაში არქიტექტურის ისტორია, რომელიც იწერება პროფ. მიუნტერის რედაქციით.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲣᲧᲕᲐᲠᲗ ᲤᲔᲠᲬᲔᲠᲐ

ასე წერს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ჟურნალი „ბილდენდე ვუნსტი". განყოფილებაში „ცნობები მთელი მსოფლიოდან" ჟურნალი აღნიშნავს, რომ თბილისში დიდალმა მაყურებელმა ნახა ზვედ მხატვართა ნახატები, გრაფიკა, ილუსტრაციები, რომლებიც გამოფენილი იყო საქართველოს სსრ ხელოვნების მუზეუმის დარბაზებში.

ჟურნალი წერს აგრეთვე, რომ თბილისელები დიდი ინტერესით გაეცნენ შანამდროვე ამერიკელი მხატვრის როკუელ კენტის ნამუშევრების გამოფენას.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲖᲔ



ᲩᲔᲛᲘ ᲫᲛᲐ ᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘ ᲓᲐᲓᲘᲡ.
ფოტოეტიუდი ბ. სოკოლოვისა.

ᲠᲐᲓᲘᲝᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲔᲥᲡᲞᲝᲜᲐᲢᲔᲑᲘ

ᲝᲠᲘ. (საკ. კორ.). რაჟის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი ერთ-ერთი დიდი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებაა რაიონში. აქ გამოფენილი ექსპონატები კარგად ასახავენ მხარის ისტორიულ წარსულს და თანამედროვე ცხოვრებას.

მუზეუმში დიდი ადგილი უჭირავს რაჟის მკვიდრის, მგზნებარე რევოლუციონერის ალიოშა ჯაფარიძის ნათელი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველ უჭსპონატებს. ამას წინათ აქ მოსკოვიდან ჩამოვიდნენ და მუზეუმი ინახულეს რევოლუციონერის ქალიშვილებმა — ელენემ და ლუციამ. ისინი უდიდესი ინტერესით გაეცნენ სახელოვან მამის რევოლუციურ საქმიანობას.

ალ. ჯაფარიძის ქალიშვილებმა მუზეუმს გადასცეს მამის ფოტოსურათი, პირადი წერილები და მოსკოვში გამოცემული წიგნი „ალიოშა ჯაფარიძე".

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲔᲥᲡᲞᲝᲜᲐᲢᲔᲑᲘ

ᲝᲠᲘ. (საკ. კორ.). რაჟის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი ერთ-ერთი დიდი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებაა რაიონში. აქ გამოფენილი ექსპონატები კარგად ასახავენ მხარის ისტორიულ წარსულს და თანამედროვე ცხოვრებას.

მუზეუმში დიდი ადგილი უჭირავს რაჟის მკვიდრის, მგზნებარე რევოლუციონერის ალიოშა ჯაფარიძის ნათელი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველ უჭსპონატებს. ამას წინათ აქ მოსკოვიდან ჩამოვიდნენ და მუზეუმი ინახულეს რევოლუციონერის ქალიშვილებმა — ელენემ და ლუციამ. ისინი უდიდესი ინტერესით გაეცნენ სახელოვან მამის რევოლუციურ საქმიანობას.

ალ. ჯაფარიძის ქალიშვილებმა მუზეუმს გადასცეს მამის ფოტოსურათი, პირადი წერილები და მოსკოვში გამოცემული წიგნი „ალიოშა ჯაფარიძე".



ᲙᲐᲛᲩᲐᲢᲙᲘᲡ ᲝᲚᲥᲘ. ნახევარკუნძულის ბევრ ადგილს სახელწოდება მიღებული აქვს კამჩადალთა, კორიაკთა, ევენთა, აინთა ძველი ლეგენდების მიხედვით. მდინარე ოზიორნაიას სათავეთთან სამხრეთ კამჩატკაში აღმართულა სილამაზითა და მკაცრი მიუვალობით განთქმული პემზის უზარმაზარი სვეტები — „კუტხას ნავები".

ლეგენდა გადმოგვცემს, რომ ოდესღაც კამჩადალთა მძვინვარე ღმერთი კუტხა წყალმარხ ადგილზე მომწყვდეულა და განრისხებულს აქ გასაშრობად დაუყენებია თავისი ნავები.

ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲖᲔ: პემზის სვეტები — „კუტხას ნავები".
ფოტო ი. მურავინისა. (საკადესის ფოტოკრონიკა).

ᲙᲘᲔᲕᲘᲡᲘ ᲞᲝᲠᲢᲠᲔᲢᲘ

ᲓᲦᲔᲡ ᲚᲘᲓᲔᲠᲗᲐ ᲛᲐᲡᲯᲩᲘᲐ

კიევი. 10 ოქტომბერი. (ტელეფონით სპეც. კორ.). ჩვენ ვსადილობთ სასტუმრო „მოსკოვის" რესტორანში და თუმცა ფეხბურთელი არავინ გვაბლავს, მაგრამ მთელი ყურადღება ჩვენსკენ არის მოპყრობილი. ყველა, ვინც კი ისმენს ქართულ ლაპარაკს, ჩვენსკენ იხედება. რამდენიმე ხნის შემდეგ ადმინისტრატორი მოგვიახლოდა და გვეკითხება — უკაცრავად რომ გაწუხებთ, მაგრამ ბილეთების შოვნაში ხომ არ დამეხმარებოდით?

პასუხად ჩვენ მხოლოდ გაგვეღიმა, ანა რა უნდა გვეპასუხა?

ამისთანა შემთხვევებს ბევრგან წააწყდებით. ორი „დინამოს", ორი ლიდერის ასპარეზობა უკრაინის დედაქალაქის მცხოვრებთა ცხოველ ინტერესს იწვევს. ეს გაზეთადება არ არის, არც ლამაზი სიტყვისათვის არის ნათქვამი. კიევში იმდენივე ფეხბურთის გულშემატკივარია, რამდენიც ჩვენთან და შეიძლება მეტიც. როგორც ჩვენ, ასევე მათაც აქვთ ამის მიზეზი — აქ ხომ ლიდერობის საკითხი წყდება.

დღეს დუბლიორთა შეხვედრას 40 ათასამდე კაცი დაესწრო. უნდა ითქვას, რომ კიევის „დინამოს" დუბლ-შემადგენლობა ძალიან ძლიერია. იგი ახლა მეორე ადგილზეა, ხოლო ზოგიერთი მოთამაშე ხშირად იცავს ძირითადი შემადგენლობის ღირსებას.

დღესაც საბრძოლოდ იყვნენ განწყობილი კიეველები. შეხვედრა მასპინძელთა უპირატესობით მიმდინარეობდა და დამთავრდა მათივე გამარჯვებით ანგარიშით 4:1.

რამდენიმე საათით ადრე, ამავე მინდორზე, სადაც დუბლშემადგენლობები თამაშობდნენ, ვარჯიშობდა თბილისის „დინამოს" ძირითადი შემადგენლობა. მოედანზე იყვნენ ყველანი, ვინც კი გამოსულა უკანასკნელ შეხვედრებში. ვარჯიშობდნენ ავრეთვე ხურცილავა და იამანიძე. ითამაშებენ თუ არა ისინი ხვალ, ამას მწვრთნელები გადაწყვეტენენ ამ საღამოს. ჯერჯერობით კი აქ გამოცხადებულია ხვალინდელ თამაშში მონაწილე ფეხბურთელთა ასეთი შემადგენლობა:

„დინამო" (კიევი) — მაკაროვი, შჩეკოლკოვი, ტურიანჩიკი, სუჩკოვი, ვოლოვი, საბო, ბაზილევიჩი, სერებრიანიკოვი, კანევსკი, ბიბა, ლობანოვსკი.

„დინამო" (თბილისი) — კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ხელაძე, ჩოხელი, ზეინკლიშვილი, პეტრიაშვილი, მელაშვილი, ბარქაია, კალოევი, გ. სიჭინავა, მესხი.

საკავშირო ჩემპიონატების უცვლელი მონაწილეების კიევისა და თბილისის დინამოელთა ხვალინდელი შეხვედრა რიცხვით მეორმოცეა. 39 შეხვედრაში 16-ჯერ თბილისელებმა გაიმარჯვეს, 14 მატჩი ფრედ დამთავრდა და მხოლოდ 9-ჯერ დამარცხდნენ ქართველი ფეხბურთელები. ასევე სოლიდურად გამოიყურება ბურთების შეფარდებაც 78:49 თბილისელთა სასარგებლოდ. საინტერესოა ზოგიერთი მონაცემებიც — ჩვენი ფეხბურთელები 9-ჯერ იყვნენ საარჩეო ადგილზე, კიეველები — 5-ჯერ. 12-ჯერ ქართველი ფეხბურთელები კიეველებზე წინ იყვნენ სატურნირო ცხრილში. კიეველები — 10-ჯერ. დამახასიათებელია, რომ 1954 წლიდან თბილისის „დინამომ" მხოლოდ ერთხელ შეძლო (1959 წ.) სატურნირო ცხრილში კიეველებზე მაღლა ასულიყო.

ხვალინდელ მატჩზე ბევრი რამ არის დამოკიდებული, გაირკვევა თუ ვინ ჩაუდგება სათავეში გათამაშების ცხრილს და, ვინ იცის, იქნება ხვალ წყდებოდეს ოქროს მედლების ბედიც.

ᲛᲐᲢᲩᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲒᲐᲖᲔ

ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲧᲐᲘᲛᲘ

მოსკოვი. 10 ოქტომბერი. (ტელეფონით სპეც. კორ.). დღეს დილით ოსტატების კანდიდატმა ვ. კოგანმა მსოფლიო ჩემპიონის ე. ბოიოვას სახელობის ოსტატ მ. შიშოვს აცნობა, რომ ე. ბოიოვა მეტოქეს ყაიმს სთავაზობს გადადებულ პარტიაში, მაგრამ ნ. გაფრინდაშვილმა უარყო საყაიმო წინადადება. როგორც პარტიის დეტალურმა ანალიზმა ცხადყო, შავებს თავდაცვის რესურსები ჰქონდათ, მაგრამ საჭირო იყო ზუსტი თამაში. ამიტომ ნ. გაფრინდაშვილმა გადაწყვიტა ბრძოლის გაგრძელება.

შეხვედრის განახლებისას ნ. გაფრინდაშვილმა პაიკის დროებითი შეწირვით თამაში გადაიყვანა ეტლების უკეთეს დაბოლოვებაში, სადაც შავების პაიკების განლაგება დასუსტებულ იქნა. ამასთან ე. ბოიოვა ციანტოშში ალმოჩნდა.

უკანასკნელ 10 სვლაზე მას 6 წუთი რჩებოდა. მიუხედავად ამისა მსოფლიოს ჩემპიონი მეტად ზუსტად თამაშობდა. მან აქტიურ უჯრედზე გადაიყვანა თავისი მეფე და მიაღწია ყაიმს 66-ე სვლაზე.

ეს პირველი შემთხვევაა მატჩში, როდესაც ე. ბოიოვა შავებით აღწევს ყაიმს.

ამრიგად, 8 პარტიის შემდეგ ანგარიში გახდა 6,5:1,5 ქართველი მოჭადრაკის სასარგებლოდ. ხვალ გაიმართება მორიგი მე-9 „პარტია. თეთრებით ითამაშებს ე. ბოიოვა.

ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲐᲓᲘᲡ ᲐᲚᲐᲛᲘ ᲓᲐᲣᲨᲕᲔᲡ

ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ საკურორტო ქალაქ ვარნაში დიდი საჭადრაკო პაექრობა მიწყნარდა. როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ ორი დღით ადრე გამოვლინდა უძლიერესი კოლექტივი, ანუ მსოფლიოს ჩემპიონი. ეს იყო სსრ კავშირის ნაკრები გუნდი, რომელმაც მეექვსეჯერ მოიპოვა ეს ტიტული. აღსანიშნავია, რომ საბჭოთა მოჭადრაკეებმა მთელი ოლიმპიადა ისე ჩაატარეს, რომ არც ერთ ტურში გუნდური დამარცხება არ განუცდიათ. 31,5 ქულა — ეი მათი ბალანსი.

მომდევნო საარჩიო ადგილების ბედი პირველ რიგში დამოკიდებული იყო ამერიკის შეერთებული შტატებისა და იუგოსლავიის გუნდების შეხვედრაში გადადებული პარტიების შედეგებზე.

ამ პარტიათა დამთავრება მოხდა გუშინ დილით. ამერიკელმა მოჭადრაკეებმა ორი გადადებული პარტიიდან ორივე წაგეს და დამარცხება განიცადეს ანგარიშით 1:3. ფიშერმა წაგო პარტია გლეგორიჩთან.

ამრიგად, იუგოსლავიის გუნდმა მეორე ადგილი და ვერცხლის მედლები მოიპოვა. ბრინჯაოს მედლების მფლობელი გახდა არგენტინის გუნდი. ამერიკის შეერთებული შტატების მოჭადრაკეები მეოთხე ადგილით დაკმაყოფილდნენ.

გუშინ საღამოს შედგა XV საჭადრაკო ოლიმპიადის საზეიმო დახურვა.

ᲘᲠᲐᲜᲔᲚᲗᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲒᲐ

ᲑᲣᲨᲘᲜ ქუთაისში შედგა საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში. თამაშობდნენ ირანის „ტაჯისა" და ქუთაისის „ტორპედოს" გუნდები. გაიმარჯვეს მასპინძლებმა ანგარიშით 3:0.

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲚᲘᲜᲓᲐ

ᲑᲣᲨᲘᲜ თბილისში დამთავრდა საქართველოს პირველობის გათამაშება თავაზსუფალ ჭიდაობაში. ჩემპიონი გახდა „დინამოს" გუნდი. მომდევნო საპრიზო ადგილები დაიკავეს „კოლმეურნისა" და „განთიადის" მოჭიდავეთა კოლექტივებმა.

Მ. ᲒᲝᲢᲕᲘᲜᲘᲙᲘ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲐᲓᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

„ᲛᲔᲗᲮᲣᲗᲛᲔᲢᲔᲗᲘ" საჭადრაკო ოლიმპიადა, — თქვა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში მსოფლიოს ჩემპიონმა მიხეილ ბოტვინიკმა, — ჩვენმა ბულგარელმა მეგობრებმა ჩინებულად მოაწყეს. ყველა კონტინენტის 37 გუნდის მონაწილენი მადლობელი უნდა იყონ ბულგარელი ბალნის და ბულგარეთის მთავრობისა იმ პირობებისათვის, რომლებიც ვარნაში იყო შექმნილი მსოფლიოს უძლიერეს მოჭადრაკეთა შემოქმედების გამოსაცდელებლად.

ვფიქრობ, რომ საბჭოთა კავშირის გუნდმა დამსახურებულად მოიპოვა პირველი ადგილი, ისე რომ არც ერთი მატჩი არ წაუგია. პირადად მე უფრო ნაკლები ქულა მოვაგროვე, ვიდრე ჩემმა თანაგუნდელებმა. მაგრამ ჩემი მეტოქენიც ხომ უფრო ძლიერი იყვნენ".

„დამბაღული წარიმართა ჩემი შეხვედრა გროსმაისტერ რობერტ ფიშერთან მეათე ტურში. მანამდე არცერთხელ არ შეეხვედრივარ მას. ნორჩმა ამერიკელმა კარგად მიიყვანა პარტია იმ მომენტამდე, როცა თამაშის გადადების წინ, 42-ე სვლაზე წინდაუხედავად გაცვალა თავისი ძლიერი მხედარი თეთრების სუსტ კუში, რითაც ვითარება შეიცვალა. გადადებულ პოზიციაში ფიშერს ერთგვარი შანსი ჰქონდა, მაგრამ მე დაცვის შესაძლებლობა მომეცა.

რასაკვირველია, მოჭადრაკეთა შორის ნათამაშევი ერთი პარტია ძალიან ცოტა რამეს მეტყველებს. მაგრამ მაინც შემიძლია ვთქვა, რომ რობერტ ფიშერი მეტად მაღალი კლასის მოჭადრაკეა.

მე-15 ოლიმპიადაზე ბევრი ახალგაზრდა ტალანტი გამოჩნდა. უნდა აღინიშნოს ბულგარელი ტრინგოვი, რომელმაც საერთაშორისო გროსმაისტერის ნორმა შეასრულა, მეორე ბულგარელი ოსტატი ბადევსკი, რუმინელი ოსტატი ჩოკლეტია".

ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲓᲐᲠᲒᲐᲖᲘᲓᲐᲜ

ᲓᲔᲜᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲮᲚᲘ

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ მუშის ივანე სუსლოვის სიცოცხლე უცბად შეწყდა. იგი მოკლა დენმა, რომელიც კრიანგმა მეპატრონემ ხლებნიკოვმა შეუერთა თავისი სახლის ეზოს ღობის მავთულს ხლართს.

ერთ-ერთი კვირა დღის საღამოს ახალგაზრდა მუშა თავის ამხანაგებთან ერთად ბრუნდებოდა შინ ქალაქის პარკიდან. კარგი განწყობილება, მხიარული საუბარი, ხუმრობა, სიცილი... პროლეტარიატის ქუჩაზე ჭეშმუკების ყურადღება მიიპყრო ნაყოფით დახუნძლულმა ვაშლის ხემ.

— იფ, რამდენი ასხია! მოვწყვიტოთ თითო-თითო, ამით პატრონს რიდი დავაზარალებთ, — წამოაყენა წინადადება ვიღაცამ. ივანე სუსლოვი მიუახლოვდა ღობეს. შეახო ხელი თუ არა მავთულს, ჭაბუკი მიწაზე მკვდარი დაეცა. ასე დაუჯდა ადამიანს სიცოცხლის ფასად მოუწყვეტელი ვაშლი.

ამ ავადმყოფური დანაშაულის შეტყობის შემდეგ, ქალაქის საზოგადოებრიობამ სამარცხვინო ბოძზე გააკრა მკვლელი. ოშკარ-ოლაში შემდგარ ღია სასამართლო პროცესზე, რომელშიც მონაწილეობდა საზოგადოებრივი ბრალმდებელი, ნილაბი ჩამოხსნეს ხლებნიკოვის საზიზღარ სახეს. ხლებნიკოვმა მეურნ